# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 ოქტომბერი, 2014 წელი.

№25 (7586)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## მორიგ „ვარდების რევოლუციამდე“ არც ისე დიდი დრო დარჩა? 3



„რთული პრობლემის იოლად გადაწყვეტის“ სინდრომი ხელისუფლებასა და ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდება

## „ხელისუფლება ეკონომიკაში ფაქტობრივად იმავეს აკეთებს, რასაც სააკაშვილი აკეთებდა“ 4

## 8 რა შეცდომები დაუშვა ვაშინგტონმა საქართველოსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობებში?

## სოხუმიდან ნიუ-იორკამდე



6

## აღვადგინოთ ჰესების მშენებლობის ქართული სტანდარტი 7



2 ოქტომბერს ცნობილი კინორეჟისორი და მწერალი გოდერძი ჩოხელი 60 წლის გახდებოდა 9

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ორგანიზაცია „მოქალაქის“ პროექტების პრეზენტაცია

**ორგანიზაცია „მოქალაქის“ ხელმძღვანელი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ორგანიზაციის ორი პროექტის პრეზენტაციას დაესწრო, სადაც ორი პროექტის — „სტუდენტები თვითმმართველობისათვის“ და „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის“ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.**

პროექტების პრეზენტაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი უძღვებოდა. პროექტების შესახებ ისაუბრა ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკო ჩხეტიანმა.

* * *

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რატომ აღარ ახორციელებს ორგანიზაცია „მოქალაქე“ მედიის წარმომადგენლების გადამზადების პროექტს, რომელიც დაანონსებული იყო.

**„ჩვენ გამოვაცხადეთ განაცხადების მიღება, მაგრამ როგორც ვიცი, აქტიურობა არ ყოფილა ჟურნალისტების მხრიდან. ძალიან ცოტა ნაწილმა მოისურვა მონაწილეობა. ეს იყო პირველი პროექტი და საკმაოდ ფართოდ გაშუქდა. როგორც ვიცი, გრძელდება ანალიტიკოსების მომზადების პროცესი, მაგრამ ჟურნალისტების მხრიდან აქტიურობა არ გამოვლენილა. დიდი შედეგი არ მოჰყოლია, რამეთუ სურვილი არ ჩანდა ჟურნალისტების მხრიდან“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



მანვე ისაუბრა იმ საგანმანათლებლო პროექტების თაობაზე, რომლის განხორციელებასაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ გეგმავს, თუმცა, პოლიტიკურ თემებზე კომენტარების გაკეთებაზე უარი განაცხადა.

* * *

**თუ ჩვენ გვინდა, ვიამაყოთ ჩვენი ქვეყნის წარმატებით, მაქსიმალური ჩართულობა და მონაწილეობა უნდა გამოვიჩინოთ სახელმწიფოს მართვაში, — ამის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა ორგანიზაციის ორი პროექტის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, ეს ორი პროექტი ეხება საზოგადოების ყველაზე საინტერესო ნაწილს, რათა ისინი გააქტიურდნენ.

კითხვაზე, საკმარისად აქტიურია თუ არა დღეს ორგანიზაცია „მოქალაქე„, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეს საზოგადოებამ და მედიამ უნდა შეაფასონ.

რაც შეეხება აღნიშნული პროექტების ღირებულებას, როგორც მან აღნიშნა, მილიონ ლარზე ნაკლები არც ერთი პროექტი არ დაჯდება, თუმცა, თანხა მოგვიანებით დაზუსტდება.

**„ბიუჯეტი არ არის შეზღუდული, მაგრამ არც გადაჭარბება შეიძლება“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის საავტორო გადაცემა, ყველაზე გვიან ახალ წლამდე, ყველაზე ადრე კი დაახლოებით ერთ თვეში გავა ეთერში.**

„ერთადერთს გეტყვით, რომ როგორც იცით, ვამზადებ ტელეპროექტს. ამაზე მეტს ვერ გეტყვით დეტალებზე, რამეთუ დაზუსტებული არ გვაქვს. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. ყველაზე გვიან ახალ წლამდე, ყველაზე ადრე ერთ თვეში ალბათ გავალთ ეთერში, ამ პროექტით მე გამოვჩნდები და ვიქნები აქტიური კვირაში ერთხელ მაინც“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## სეპარატისტები იხტიბარს არ იტეხენ

**„ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება პირველი არ არის — ჩვენ ამგვარ განცხადებებს უკვე მივეჩვიეთ და მათი აფხაზეთში არავის სჯერა“, — აცხადებს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ხინთბა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას.**

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლის ღარიბაშვილის განცხადება არ არის პირველი. ჩვენ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან უკვე მივეჩვიეთ ამგვარი ხასიათის, მორიგე განცხადებებს ქართული მხრიდან. სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც თბილისს არაერთხელ განუცხადებია აფხაზებთან შერიგების აუცილებლობა, მაგრამ ეს შერიგება ძალიან უცნაურად აღიქმება ქართული მხარის მიერ.

შერიგებისკენ მიმართული რეალური ნაბიჯების ნაცვლად ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოს მხრიდან ვხვდებოდით პროვოკაციებს, ჩვენი მოქალაქეების უფლებების დისკრიმინაციისკენ მიმართულ ქმედებებსა და ნაბიჯებს, რომლებიც ასევე გადადგმული იყო აფხაზეთის იზოლაციისკენ, — აცხადებს ხინთბა რუსულ მედიასთან საუბარში და აღნიშნავს, რომ საქართველოს ჯერაც არ უღიარებია ბრალი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაჩაღებაში და ის დღემდე უარს აცხადებს აფხაზეთთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებაზე.

**შეაყარე კედელს ცერცვი...**

„საქართველოს ჯერაც არ უღიარებია თავისი ბრალი 1992-1993 წლებში სისხლიანი ომის გაჩაღების გამო და მთავარი არის, რომ საქართველო დღეს უარს აცხადებს აფხაზეთთან იურიდიულად სავალდებულო ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე.

ამიტომაც ჩვენ იმის გამო, რომ აფხაზეთის უსაფრთხოება უზრუნველვყოთ, დღეს უნდა ვისაუბროთ საქართველო-აფხაზეთის საზღვრის გაძლიერებაზე. საქართველოს მოძრაობის ფონზე კი ნატოს მიმართულებით და აშშ-სთან მისი სტრატეგიული პარტნიორობის გამყარების ფონზე ჩვენ, რა თქმა უნდა, ვსაუბრობთ რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებაზე, რასაც დღეს აფხაზეთში ჩემი აზრით ყველა ეთანხმება“, — აცხადებს ხინთბა.

მისივე თქმით, ღარიბაშვილი ამ განცხადებებს გარესამყაროსთვის აკეთებს და არა აფხაზური საზოგადოებისათვის.

„მათ სურთ, აჩვენონ ყველას, თითქოს აი, აფხაზეთი არის ჯიუტი და მას არ სურს დათმობებზე წასვლა, ხოლო საქართველო არის ღია კომპრომისებისათვის — სიმანდვილეში ეს ასე არ არის“, — აცხადებს ხინთბა და აღნიშნავს, რომ ეს განცხადებები ასევე კეთდება შიდა ქართული აუდიტორიისთვის, სადაც დარჩენილია „ჯგუფები საზოგადოებისა“, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არის მთავარი მიზანი, რომელიც უნდა მიიღწეს“.

„ეს არის მხოლოდ რიტორიკა რომლის აფხაზეთში არავის არ სჯერა“, — აცხადებს ირაკლი ხინთბა.

„ХО-ЭОВ-ЭБО“

# მოსახლეობას უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მის მიერ მიცემული ხმა არ დაიკარგება

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სასტუმრო „რედისონში“ არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი შეხვედრა გაიმართა.**

როგორც „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხერხდა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეკრება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

**„არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი და ხელისუფლება ველარ შეძლებს აპელირებას, რომ ვერ შეცვლის „საარჩევნო კოდექსს“ დროის სიმცირის გამო. თუ ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიაზე, პირველ რიგში საარჩევნო გარემოა შესაცვლელი. ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მის მიერ მიცემული ხმა არ დაიკარგება, არჩევნები ჩატარდება სამართლიანად და ყველა პოლიტიკური პარტია მიიღებს იმ მხარდაჭერას, რაც რეალურად აქვს მოსახლეობაში“,** — აღნიშნა ბურჯანაძემ.

**„მე დარწმუნებული ვარ, ეს ფორმატი წარმატებით იმუშავებს, ჩვენ შევძლებთ ძირეულ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევას, თუ რა თქმა უნდა, ხელისუფლება მოისურვებს, რომ კი არ მოირგოს თავის თავზე ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული კანონმდებლობა, რომელსაც ოპოზიციაში ყოფნის დროს აკრიტიკებდნენ, არამედ მართლაც დემოკრატიულ გარემოზე იზრუნოს და არა საკუთარი ძალაუფლების უსაზღვრო დროით გაგრძელებაზე“,** — განაცხადა ბურჯანაძემ.



მისი თქმით, ჯერჯერობით ერთობა, რომელიც დღეს დაფიქსირდა, ეს არის საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით შექმნილი ერთობა.

**„ყველა პოლიტიკური პარტია, რომელსაც რეალურად უნდა საარჩევნო გარემოს შეცვლა უნდა ჩაერთოს ამ პროცესში. ჩვენ მოხარული ვიქნებით და ხელს შევუწყობთ ყველა პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობას ამ ფორმატში. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ეს არ არის ოპოზიციური პარტია, ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, მაგრამ „ქართულ ოცნებას„ ამის არც ძალა და არც კომპეტენცია აქვს, რომ დაუმტკიცოს საერთაშორისო თანამეგობრობას და ნაციონალურ მოძრაობას მიუჩინოს ის ადგილი, რაც მას ქართველმა ხალხმა მიუჩინა 2012 წლის 1 ოქტომბერს“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## შეფასება

# ხელისუფლების ორწლიანი საქმიანობა პოზიტიური იყო

**საპარლამენტო არჩევნებიდან, რასაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით ცვლილება მოჰყვა, 2-წელი შესრულდა.**

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ახალი ხელისუფლების მიერ განვლილ ორწლიან საქმიანობას, საერთო ჯამში, პოზიტიურად აფასებს, თუმცა მიიჩნევს, რომ გუნდის გამოუცდელობის პრობლემა იგრძნობოდა.**



როგორც საყვარელიძემ შესაბამის საკითხზე კომენტირებისას „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, „ახალბედობამ“ გარკვეულ პროცესზე როგორც პოზიტიური, ისე ნაწილობრივ ისეთი გავლენაც იქონია, რაც კრიტიკას იმსახურებს.

**„განვლილი ორი წელი უნიკალური იყო საქართველოს ისტორიისთვის. რაში მდგომარეობდა უნიკალობა? აქამდე საქართველოს ახალი ხელისუფლება უმეტესწილად ყალიბდებოდა ხოლმე ძველი ხელისუფლების წიაღში გაჩენილი ჯგუფისგან. ზვიად გამსახურდიას პერიოდი გავიხსენოთ: ნაწილობრივ იგივე ხალხი გადავიდა შევარდნაძის მმართველობაში. მოგვიანებით ამ უკანასკნელსაც ცალკე ჯგუფი გამოეყო და „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა ხელისუფლებაში. ორი წლის წინათ კი გამოჩნდა ჯგუფი, რომელსაც სახელმწიფო სათავეში ყოფნის საშუალება მანამდე არასდროს ჰქონია, ანუ განსხვავებით ყველა სხვა ჯგუფისგან, ის ახალბედა იყო, — თუ დანარჩენებს ჰქონდათ გამოცდილება, რომ სხვის ფრთის ქვეშ ყოფილიყვნენ გამოზრდილები, ამ გუნდს ასეთი ფრთა ძველ ხელისუფლებაში არ ჰქონდა. ამან პროცესებზე გარკვეული გავლენა, რა თქმა უნდა, იქონია, როგორც პოზიტიური კუთხით, ისე ნაწილობრივ ისეთი, რაც კრიტიკას იმსახურებს“,** — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

პოლიტოლოგის განმარტებით, პოზიტიური იყო ის, რომ ახალი გუნდისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ბევრი რამ, რაც წინა ხელისუფლებას ახასიათებდა, უარყოფითი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ გუნდს „გამოუცდელობის გამო ოპერატიულობა აკლდა“.

**„პოზიტიური იყო ის, რომ მათთვის მიუღებელია ბევრი რამ, რაც წინა ხელისუფლებას ახასიათებდა და ეს დეკლარირებულიცაა, ასევე ადვილად მიიღეს ის, რაც გასაზიარებელი იყო, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, უარყოფითი კი მდგომარეობს იმაში, რომ გამოუცდელობის გამო გუნდს ოპერატიულობა აკლია და ამის გამო მას დღესაც საყვედურობენ — პრობლემებს წყვეტს უფრო ნელა, ვიდრე მოსახლეობას სურს და ვიდრე, ალბათ, ობიექტურადაც შეიძლება რომ გადაწყდეს. მაგალითად, პარლამენტის უმრავლესობა ავიღოთ — ამ ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს იმ კვოტის შესწორება, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებების გატარების უფლება უნდა მისცეს, რაც მათ ინტერესშია. ამგავარი ანალოგიური დაყოვნებები ბევრია, მაგრამ დროთა განმავლობაში ალბათ ტემპი ჩამოუყალიბდებათ“,** — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

რამაზ საყვარელიძის თქმით, ახალი ხელისუფლებისადმი პირადად მისი, როგორც რიგითი მოქალაქის მოლოდინი, რომელიც „ახალბედობის გათვალისწინებით“ ჰქონდა, საერთო ჯამში, გამართლებულად მიაჩნია.

**„საერთო ჯამში, 2-წლიანი საქმიანობა იყო პოზიტიური. იმის გათვალისწინებით, მართვის რა გამოცდილებაც ამ ჯგუფს ჰქონდა, ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო. იმაზე მეტი მოლოდინის არსებობა, ვიდრე მისი გამართლება შეიძლებოდა, უბრალოდ არარეალისტური იქნებოდა. მე პირადად ასეთი არარეალისტური იმედები არ მქონია და ამიტომაც, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მოლოდინი გამართლებულია“,** — განმარტა რამაზ საყვარელიძემ.

## ინფორმაცია

### მთავრობის სარეზერვო ფონდი 70-მილიონ ლარამდე იზრდება

**მთავრობის სარეზერვო ფონდი 2015 წლისთვის 20-მილიონით იზრდება და 70-მილიონ ლარს შეადგენს.**

**მთავრობის სარეზერვო ფონდი მიმდინარე წელს 50-მილიონი ლარით იყო განსაზღვრული. პარლამენტში წარდგენილი საბიუჯეტო პროექტის მიხედვით კი, მისი მოცულობა 70-მილიონით დაიგეგმა.**

**უცვლელი რჩება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობა, რომელიც მიმდინარე და მომავალ წელსაც 5-მილიონი ლარი იქნება.**

**საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების მოცულობა, ერთად აღებული, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს.**

# მორიგ „ვარდების რევოლუციამდე“ არც ისე დიდი დრო დარჩა?

## „რთული პრობლემის იოლად გადაწყვეტის“ სინდრომი ხელისუფლებასა და ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდება



**ქუთაისში, „ახალგაზრდობის გამზირზე“ ჩაცხრილული 22 წლის მირზა გოჩუაძის ამბავი, გარდა იმისა, რომ საშინელი ტრაგედიაა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაც გახდა და ხელისუფლება მძიმე არჩევანის წინაშე დააყენა.**

როგორც ჩანს, ხელისუფალთ ჰგონიათ, იოლი გამოსავალი იპოვეს პოლიციელის დაპატიმრებით, მაგრამ ამაში ნამდვილად ცდებიან და ეს ტრაგიკული ისტორია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა რთული ფენომენია სახელმწიფო, სახელმწიფოს მართვა და პოლიტიკა, როგორც ასეთი, რომელსაც არ გააჩნია „იოლი გამოსავალი“ და რომელიც მუდმივად მხოლოდ „ცუდსა და უარესს შორის“ გვთავაზობს არჩევანს.

თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით: გარდაცვლილის ახლობელთა ვერსიით, მირზა გოჩუაძეს არავითარი მონაწილეობა ქურდობაში არ მიუღია, პოლიცია შეცდომით დაედევნა, მას შეეშინდა, გაეჩერებინა, რაკი მართვის მოწმობა არ ჰქონდა და (ალბათ) სხვის მანქანაზე იჯდა (თუმცა, ერთმა ისიც თქვა, „მანქანით საერთოდ არ ყოფილა — ფეხით იყოო“) და ამიტომ არ გაუჩერა პოლიციას მანქანა. მერე ჩიხში მოიმწყვდიეს, ესროლეს და მოკლეს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თუნდაც სრულიად ყალბი იყოს ეს ვერსია, თუ პოლიციის მოტივი მხოლოდ დაკავება იყო, „გასროლას“ არანაირი გამართლება არა აქვს: ბოლოს და ბოლოს, სად გაიქცეოდა 22 წლის ბიჭი? სახელი იცოდნენ, გვარი იცოდნენ, ახლობელი ვისი იყო, იცოდნენ, ღამეს სად ათევდა, იცოდნენ და სულ მალე დააკავებდნენ მაინც, იმ მომენტში რომც გაქცეულიყო. ანუ ნამდვილად არაფერი დაშავდებოდა, თუ იმ სიტუაციაში პოლიცია არ ესროდა და 22 წლის ახალგაზრდას სიცოცხლეს არ მოუსპობდა.

თუმცა, აქაც არის ერთი „მაგრამ“: პოლიციის ვერსიით, ეჭვმიტანილი არა უბრალოდ გარბოდა, არამედ, როცა ჩიხში მანქანით შევარდა, ცდილობდა უკუსვლით გამოსულიყო და პოლიციელებს დაჯახებას უპირებდა, ანუ სწორედ მაშინ ესროლეს, როცა უშუალოდ პოლიციელის სიცოცხლეს დაემუქრა.

მაგრამ რაკი ხელისუფლებას შეეშინდა, რომ ზუსტად ისევე დაუწყებდნენ „დამუნათებას“, როგორც თვითონ „ამუნათებდა“ წინა ხელისუფლებას „ვაზაგაშვილისა და გამცემლიძის საქმეებზე“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხმა მაშინვე ჩააკმენდინეს, ხოლო ტელეეთერში მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი არგუმენტები ისმის: „ზადნით“ დაჯახება არ ხდება, უკნიდან არის ნასროლი...“; ან „როგორ დააჯახებდა ახლა პოლიციას ან ვინმეს მანქანას?“; „მკვდარი რომ არ შეურაცხყონ, ის მაინც გააკეთონ...“

ეს ბოლო არგუმენტი განსაკუთრებით საინტერესო და ნიშანდობლივია: „მკვდრის შეურაცხყოფად“ ის ჩაითვლებოდა, თუ პოლიციას საშუალება ექნებოდა, თავდაპირველი ვერსია (ქურდობა, გაქცევა და პოლიციელისთვის ხიფათის შექმნა) განევითარებინა და თავისი არგუმენტები მოეყვანა. ამიტომ, პოლიციას ხმა მაშინვე ჩააკმენდინეს („აბა, ჩვენც მიშასავით ხომ არ მოვიქცევით?!“), შესაბამისად, მხოლოდ ერთი ვერსია ისმის, თუმცა „სათქმელი“ ორივე მხარეს აქვს.

ასეთი ექსცესები, სამწუხაროდ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ხდება. გავიხსენოთ თუნდაც ამერიკულ ქალაქ ფერგიუსონში დატრიალებული ტრაგედია. მაგრამ რაკი „ოცნება“, ოპოზიციონერობისას, აქტიურად იყენებდა ამგვარ შემთხვევებს პოლიტიკური მიზნით, ახლა ეშინია, „ვაიმე, მიშას მეთოდები არ დამაბრალონო“. ამდენად, ყველანაირად ცდილობს, სხვაგვარად იმოქმედოს, რაკი ჰგონია, ამგვარი მოქმედება უფრო ჭკვიანურია, ხოლო მიშა მისი სიბრიყვის გამო ვერ ხვდებოდა, რა იოლად გადაჭრიდა პრობლემას, თუ გამცემლიძის მკვლელს (დაახლოებით ასეთი შემთხვევა იყო), ან ვაზაგაშვილის მკვლელ პოლიციელებს უმალვე დააპატიმრებდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს „სათქმელს“ არ მისცემდა

იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმაც, მისთვის ჩვეული ბრძნული გამომეტყველებით განაცხადა: ხომ ხედავთ ჩვენ რით განვსხვავდებით მიშასგან — პოლიციელი მაშინვე დავაპატიმრეთო.

რა ადვილი ყოფილა ყველაფერი არა? ის „გიჟი და დებილი მიშა“ კი ვერ ხვდებოდა, რასაც ესენი ხვდებიან თავიანთი მაღალი ინტელექტით.

სინამდვილეში, მიშა, გიჟი კი იყო, თუმცა სულელი და დებილი ნამდვილად არ ყოფილა. ის გრძნობდა: ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას უხდება არჩევანის გაკეთება „ცუდსა და უარესს შორის“. მიშამ იცოდა, რომ პოლიცია განსაკუთრებული კორპორაციაა (მით უმეტეს საქართველოში, თუმცა არა მხოლოდ საქართველოში), რომელიც მოქმედებს კორპორაციული ინტერესებიდან და „დათქმებიდან“ გამომდინარე! როცა პოლიციელი ისჯება, ძალიან მნიშვნელოვანია, მისი კოლეგა პოლიციელები გრძნობდნენ, რომ იგი სამართლიანად ისჯება და არა იმიტომ, რომ „გაწირეს“ და „ჯოხი მასზე გადატეხეს“, რაკი ხელისუფლებას ოპოზიციის შეეშინდა!

თუ ამ კორპორაციამ ჩათვალა, რომ ხელისუფლებამ პოლიციელი იოლად გაწირა, მასზე ჯოხი უსამართლოდ გადატეხა, პოლიციას უბრალოდ „ხელი შეაწმინდა“ მაშინ, როცა პოლიციელი იძულებული იყო ესროლა და სხვა გზა მართლა არ ჰქონდა — ეს აუცილებლად გამოიწვევს პოლიციის, როგორც ინსტიტუტის დადამბლავებას და ხელისუფლებასაც ძალიან ძვირად დაუჯდება!

რასაკვირველია, დღესვე ვერ იგრძნობენ, რა „ღირს“ პოლიციის, როგორც კორპორაციის, ასე „დაჩმორება“, ამდენად, კიდევ შეუძლიათ, ბრიყვული სიამაყით ილაპარაკონ: „ხომ ხედავთ, ჩვენ რა კარგები ვართ და მიშა რა ცუდი იყო, ხომ ხედავთ მიშასგან რით განვსხვავდებით — პოლიციელი მაშინვე დავაპატიმრეთო“. მაგრამ... რთული პრობლემის „იოლი გადაწყვეტის“ შედეგებს უმალვე იწვნევენ, როგორც კი პოლიცია დასჭირდებათ!!!

2016 წლის არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. ნაციონალური მოძრაობა აშკარად ემზადება მორიგი „ვარდების რევოლუციისთვის“. ეს ყველაფრით ჩანს. მათ შორის იმ ახალგაზრდული „ზონდერჯგუფების“ აღდგენით, რომლებმაც 2003 წელს გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

„არჩევნების გაყალბების“ საბაბი (რომც არ გაყალბდეს, მაინც იტყვიან, გაყალბდაო) შესანიშნავი „სათქმელი“ იქნება, ხოლო ალტერნატიული „ზონდერჯგუფების“ შექმნა ხელისუფლებას ვერ უშველის მორიგი ოპოზიციური ამბოხისას, როგორც მიშას ვერ უშველიდა, — რომ არა პოლიციის მხარდაჭერა.

მიშა რომ ასე ადვილად არ „წირავდა“ პოლიციას, იმიტომაც იყო პოლიცია მისი ულაპარაკოდ ერთგული (დღესაც ჩუმად სვამენ „ვანოს სადღეგრძელოს“) და ხელისუფლების ყველა ბრძანებას ასრულებდა. ხოლო „ოცნებამ“ რომ ასე იოლად „ჩააბარა“ პოლიციელი და ასე სწრაფად „დააჩმორებინა“ პოლიცია („ზადნით“ დაჯახება არ ხდებაო“), იმიტომაც დარჩება სისხლმოწყურებული მტრების პირისპირ მაშინ, როცა თუნდაც ყველაზე გამჭვირვალედ და პატიოსნად ჩატარებულ არჩევნებს „გაყალბებულად“ გამოუცხადებენ („სათქმელი“ და „შარის მოსადები“ ყოველთვის მოიძებნება არჩევნებისას, მთავარია, ხელისუფლება იყოს მოყანყალებული) და სულ იოლად დაამხობენ — პოლიციის გულგრილობისა და ჩაურევლობის ფონზე.

მერე იძახონ: „სამაგიეროდ, ჩვენ ხომ კარგები ვართ, მიშასავით არ მოვიქეცით — პოლიციელი იოლად გავწირეთ, პოლიციას ხმა ჩავაკმენდინეთ, ანუ მათი არგუმენტების გაჟღერებაც კი ავუკრძალეთ და პრობლემაც მაშინვე მოგვარდაო“.

ამ დილემის წინაშე ყველაზე ძლიერი, ყველაზე დალაგებული და აწყობილი ქვეყნებიც ხშირად დგებიან: იმავე ამერიკულ ფერგიუსონში, ხელისუფლება, მასობრივი პროტესტების პასუხად, იძულებული გახდა, ზომები მიეღო. ოღონდ განსხვავება, იცით, რა არის? ჯერ ერთი, ის პოლიციელი არ დაუპატიმრებიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მოითხოვა ფერგიუსონის მოსახლეობამ, არამედ სამსახურიდან დაითხოვეს. ისიც დროებით, ანუ გამოძიების დასრულებამდე.

ჩვენს ხელისუფლებას ამის შეეშინდა, რაკი, თუ პოლიციელს არ დაიჭერდნენ, „მხოლოდ სამსახურიდან დროებით ჩამოშორება“ საკმარისი არ იქნებოდა ოპოზიციური „სათქმელის“ საწინააღმდეგოდ.

გარდა ამისა, ამერიკაში არავის მოუვიდოდა აზრად, ამ შინაარსით ეთქვა: „მიცვალებულს ნუ შეურაცხყოფთო“ (ანუ მეორე მხარეს ხმა ჩააკმენდინეთო) და რომც მოსვლოდა, ვერავინ აუკრძალავდა პოლიციას, გაეგრძელებინათ თავდაპირველი ვერსიის მტკიცება, რომ ფერგიუსონში პოლიციელმა მხოლოდ მას შემდეგ ისროლა, რაც ის შავკანიანი ახალგაზრდა პოლიციელებს თავს დაესხა ან თავდასხმა სცადა.

ხოლო ამგვარი „იოლი გამოსავალი“ მდგომარეობიდან, — როგორიც პოლიციის „დაჩმორება“ და ყველა საკამათო შემთხვევაში პოლიციელის გაწირვაა, — ხელისუფლებას რა დაუჯდება, სულ მალე გამოჩნდება:

მომავალ არჩევნებამდე, ესე იგი, მორიგ „ვარდების რევოლუციამდე“, არც ისე დიდი დრო დარჩა!

**გიორგი ლეჟავა.**

## ალიანჩალიანი

### მარტოხელა მშობლის სტატუსს კანონმდებლობა განსაზღვრავს

**მარტოხელა მშობლებს შესაძლოა, სამართლებრივი სტატუსი მიეცეთ და დეფინიცია „მარტოხელა მშობელი“ კანონით განისაზღვროს. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი „სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებების ინიცირებას გეგმავს, რომელიც აღნიშნულ კანონში მარტოხელა მშობლებთან დაკავშირებით ახალი ნორმების შემოტანას ითვალისწინებს. პროექტი მომზადებულია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ მიერ.**

**კანონპროექტის მიხედვით, მარტოხელა მშობლად მიიჩნევა მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი. პროექტის მიხედვით, მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და დედა ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში. ხოლო მარტოხელა მამას მიეკუთვნება პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და მამა ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში.**

**წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ასევე მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების პირობებს. პროექტის მიხედვით, მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს აღნიშნული სტატუსის მქონე პირის რეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლა ან შვილის (შვილად აყვანილი პირის) 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები, რაც პირისათვის მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას გამორიცხავს.**

### „სოლიდარობის ფონდს“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი შეუერთდა

**„სოლიდარობის ფონდმა“ და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მემორანდუმი გააფორმეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურის სამინისტროდან აცნობეს, „სოლიდარობის ფონდის“ ინიციატივას კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი უერთდება.**

**მემორანდუმის საფუძველზე მხარეები მხარს დაუჭერენ საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ან კატასტროფიული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის სათანადო ალტერნატიული რესურსების შექმნას და ნებაყოფლობით საწყისებზე, უზრუნველყოფენ სათანადო რესურსების მობილიზაციას.**

### ურეცეპტოდ კიდევ 9 მედიკამენტს შეიძენთ

**ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანება ძალაში დღეიდან შევიდა.**

**გადაუდებელი დახმარების სამკურნალო საშუალებებს დაემატა: ამიოდარონი (ტაბლეტი) — ანტიარითმიული საშუალება, გლიბენკლამიდი (ტაბლეტი) — პერორალური ანტიდიაბეტური საშუალება, მეტაფორმინი (ტაბლეტი)-პერორალური ანტიდიაბეტური საშუალება, კაპტოპრილის ტაბლეტები ნებისმიერი დოზით — წნევის დამწევი საშუალება, ნიფედიპინის ტაბლეტები ნებისმიერი დოზით — წნევის დამწევი საშუალება, მეტოპროლოლის ტაბლეტები ნებისმიერი დოზით — წნევის დამწევი საშუალება, დექსამეტაზონის ტაბლეტები — ანაფილაქსიის საწინააღმდეგო საშუალება, პრედნიზოლინის ტაბლეტები — ანაფილაქსიური შოკის, ალერგიული რეაქციების სამკურნალო და ბრონქული ასთმის შეტევის კუპირების საშუალება და ფუროსემიდის ტაბლეტები — ძლიერი და სწრაფი მოქმედების შარდმდენი საშუალება. ფარმაცევტული დაწესებულება უფლებამოსილია გადაუდებელი მდგომარეობის დროს, ურეცეპტოდ გასცეს წამლის ფორმა, ერთჯერადი დოზის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ორიგინალური შეფუთვის დაშლა, ფარმაცევტული პროდუქტი გაიცემა 1 სტანდარტული შეფუთვის რაოდენობით.**

# „ხელისუფლება ეკონომიკაში ფაქტობრივად იმავეს აკეთებს, რასაც სააკაშვილი აკეთებდა“



**საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის“ ბორდის თავმჯდომარეს გია ხუხაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გია, ახლა ყველაზე აქტიურად საქართველოს შესახებ ევროპარლამენტის რეზოლუციას განიხილავენ. დამკვირებელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ რეზოლუციაში ძირითადად ყველა ის პრეტენზიებია, რომელთაც ნაცმოძრაობა ხელისუფლებას უყენებს. ამ რეზოლუციას ზოგი „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკის ფიასკოდ და ნაცმოძრაობის გამარჯვებად აფასებს, ზოგიც — ევროპარლამეტის მხრიდან ქართველი ამომრჩევლისა და ხელისუფლების უპატივცემულობის გამოხატულებად. ექსპერტ გია ნოდიას შეფასებით, „ფორმალურად სწორია“ თედო ჯაფარიძის განცხადება, რომ რეზოლუციას იურიდიული ძალა არ აქვს“, მაგრამ რეალურად „პრობლემაა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის უცხოა ევროპული ღირებულებები, ევროპული დისკურსი და მას სულ უფრო უჭირს ამის დამალვა“. ამ თემაზე თქვენი შეფასება როგორი იქნება?**

— ევროპარლამენტარების მიერ ამგვარი რეზოლუციის მიღებას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ კონკრეტულ მიზეზზე ყურადღების გამახვილება სწორი არ იქნებოდა. ნაცმოძრაობის კარგი მუშაობის გარდა, მიზეზია ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების ძალიან სუსტი მუშაობა, ზოგიერთ შემთხვევაში — პაროდიულიც კი. გასაგებია, რომ ნაცმოძრაობას გარკვეული კავშირები აქვს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და მათში გარკვეულ განწყობებს ქმნის, მაგრამ ეს არის ის, რაც სტრასბურგში ხდებოდა. სამწუხაროდ, არსებობს იქ მომხდარის შიდა მიზეზებიც.

გარედან მაყურებლისთვის, რომელმაც არ იცის, თუ ვინ იყო თუნდაც ახალაია ქართულ სინამდვილეში, უყურებს იმ პროცესს, რომელიც მასთან დაკავშირებით ვითარდება (ვგულისხმობ ერთ საქმეზე გამართლებას, რომელსაც მყისიერად მოჰყვება ხოლმე მეორე და მესამე საქმეების აღძვრა), ჩვენს ხელისუფლებაზე არც თუ ისე სახარბიელო სურათი იხატება. ამის გამო ჩვენს დასავლელ პარტნიორებს სერიოზული ეჭვი უჩნდებათ იმაზე, რომ აქ შესაძლოა, საქმე პოლიტიკურ დევნასთან გვქონდეს.

პირადად მე, არ ვფიქრობ, რომ სინამდვილეში პოლიტიკურ დევნასთან გვაქვს საქმე. ბაჩო ახალიას ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ აქვს გაფუჭებული, მაგრამ პროცესი არის არაკვალიფიციურად და არასწორი ტაქტიკით წარმართული, რეალურად გამოდის, რომ ხელისუფლება თავის პოლიტიკურ ოპონენტებს თავად უწევს „სატოპკეს“. სწორედ ეს გახლავთ რეზოლუციის მთავარი მიზეზი.

რაც შეეხება შედეგებს, შედეგები არ იქნება ისეთი მარტივი, როგორც ამბობენ. რეკომენდაციების შესრულება შეიძლება არ იყოს აუცილებელი, მაგრამ ეს შეღავათი სულაც არ არის. როგორც ჩანს, ეს რეზოლუცია საქართველოს ევროპულ გზაზე შემდეგი ნაბიჯების გადადგმისას სერიოზულ პრობლემას შეუქმნის. თუ ეს რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, რა თქმა უნდა, მას თავისი შედეგები მოჰყვება.

**— პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ „ხელისუფლება ევროპარლამენტართა პრეტენზიებს დამაჯერებლად უპასუხებს“**...

— მეც ვისურვებდი და კარგი იქნება ისე მოხდეს, როგორც დავით უსუფაშვილი ამბობს, მაგრამ მის მიერ გაკეთებული პოლიტიკური განცხადება მოკლებულია დამაჯერებლობას. რაც, სხვათა შორის, დავით უსუფაშვილისთვის დამახასიათებელი სულაც არ არის.

**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ორი წლისთავზე უამრავი და ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ჩვენი ყურადღება თქვენეულმა შეფასებამ მიიქცია. რადიო „პალიტრის“ ეთერში თქვენ ბრძანეთ - „ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღება უჭირს. ნაციონალების ხელისუფლებისაგან განსხვავებით, „ოცნების“ მთავრობა ნაკლებად ეფექტურია.“ თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ხელისუფლების მხრიდან გადაწყვეტილების მიღება-ვერმიღებასთან დაკავშირებული პრობლემა? ეს ზოგადად მართვის პრობლემას უკავშირდება, გამოუცდელობას, არაკომპეტენტურობას თუ კიდევ სხვა რამეს?**

— შესაძლოა, მიზეზები იყოს ყველანაირი, მათ შორის ის, რაც თქვენ დაასახელეთ და მათზე შეიძლება უფრო კონკრეტულადაც ვისაუბროთ. ჩემი აზრით, ბევრი რამ „ქართული ოცნების“ საქმიანობის წინა პერიოდს უკავშირდება. იმდენად დიდი იყო წინასაარჩევნო პერიოდში და შემდეგაც ერთი ადამიანის პასუხისმგებლობა და ამ ყველაფერში როლი, რომ პირველ ეტაპზე ყველა წვრილმან, თუ დიდ საქმეზე გადაწყვეტილება მკაცრ ვერტიკალში მიიღებოდა.

ჩემი აზრით, მთავრობის წევრები და ჩინოვნიკები მიეჩვივნენ მდგომარეობას, როდესაც გადაწყვეტილება მიიღებოდა სხვაგან, სხვის მიერ და შესაბამისად, მათი ინიციატივა, შესაბამისი პასუხიმგებლობა აქტუალური არ იყო. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანი პოლიტიკას ჩამოშორდა, მათ აღმოაჩინეს, რომ მათთვის წინა პერიოდში ჩამოყალიბებული ურთიერთობა კომფორტული იყო. შემდეგ ეტაპზე მათ დამატებითი პასუხიმგებლობა თავის თავზე არ აიღეს. შესაბამისად, ძალიან დაბალ დონეზეც კი ძალიან ბევრი საკითხი არ წყდებოდა სათანადო დონეზე. არსებულ ვითარებას სტაგნაციას ვერ დავარქმევ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებაში რომ რთული ვითარებაა, ფაქტია.

**— ანუ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს გადაწყვეტილებების მიღება-ვერმიღების პრობლემა ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება?**

— არა, მე ამას არ ვამბობ. უბრალოდ, არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს უკავშირდებოდეს, მაგრამ თავად ჩინოვნიკები იმ პერიოდში არიან ჩარჩენილი, როცა ყველა გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებდა. ახლა მათ ან არ უნდათ სერიოზული გადაწყვეტილების მიღება, ან არ შეუძლიათ, ამის უნარი არა აქვთ და მითითებებს ელოდებიან.

**— მომავალ წელს აფხაზეთის ეკონომიკაში საინტერესო პროცესების დაწყება იგეგმება. კერძოდ, გარდა იმისა, რომ 2015 წლიდან მოსკოვი აფხაზეთს 2-ჯერ გაუზრდის დაფინანსებას, დაახლოებით 300 მილიონამდე აშშ დოლარის ჩადება იგეგმება ეკონომიკის რეალურ სექტორში. 30-მდე სერიოზული ეკონომიკური პროექტის თანადამფუძნებლები ადგილობრივი აფხაზები იქნებიან. თქვენ როგორ შეაფასებდით იმ პროცესებს, რომელიც სავარაუდოდ, მომავალი წლიდან შესაძლოა, აფხაზეთის ეკონომიკაში განვითარდეს?**

— ჩვენთვის ეს არასასიამოვნოა, თუმცა, მე ამგვარ შესაძლებლობას მაინც სკეპტიკურად ვუყურებ, ვინაიდან მაინც არაეალურად მიმაჩნია. მაგრამ, თუ ეს რეალურად განხორციელდა, რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო გაზრდის დისტანციას ჩვენსა და ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს შორის. ერთადერთი გზა, რითაც ჩვენ შეგვიძლია გავამთლიანოთ ქვეყანა, არის ზუსტად ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების დაწყება. ანუ, თანაინვესტირებით დაფუძნებული პროექტების განხორციელება. თუ ეკონომიკური თვალსაზრისით აფხაზეთი გახდა თვითკმარი, ეს ჩვენ კიდევ უფრო დაგვაშორებს აფხაზეთთან მიმართებაში ჩვენსავე საბოლოო მიზანს.

**— რადგან აფხაზეთის თემას შევეხეთ, ამავე თემით მინდა გავაგრძელოთ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა — „როგორადაც არ უნდა განვითარდეს რუსულ-ქართული დიალოგი, მოლოდინი იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას უკან წაიღებს, არ უნდა არსებობდეს“. გასაგებია, რომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები ქვეყანას უნდა ჰქონდეს, მაგრამ ახლა გამოდის, რომ ოფიციალური თბილისი ამგვარ ურთიერთობებზე ჩვენ ტერიტორიების ოკუპაციის ხარჯზეც თანახმაა?**

— კარასინის განცხადება ასე დრამატულად არ უნდა გავიგოთ. ბუნებრივია, რომ რუსეთი აღიარებას უკან არ წაიღებს და ასეთ უკანდახევას არ გააკეთებს, მაგრამ ეს არც უნდა იყოს ჩვენი სტრატეგიული ამოცანა. ჩვენი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს ის, რომ მიუხედავად აღიარება-არაღიარებისა, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ შესაძლო დიალოგს რუსეთმა ხელი კი არ უნდა შეუშალოს, არამედ ხელი შეუწყოს. ამ მიმართულების გზავნილები ამას წინათ კარასინის მიერ გაკეთებულ განცხადებებში ისმოდა.

პრინციპში, თუ დიალოგი დაიწყება და მხარეები თანაცხოვრების რაღაც ფორმაზე შეთანხმდებიან, ეს იქნება ფედერაცია, კონფედერაცია თუ რაღაც სხვა ტიპის ურთიერთოებები, კარგი იქნება თუ ამაში რუსეთი ხელს არ შეგვიშლის. მე მაინცდამაინც არ მჯერა, რომ ამას რუსეთი ხელს არ შეუშლის, მაგრამ ჩვენ თუ მივაღწიეთ იმას, რომ რუსეთმა თავისი ნეგატიური როლი სეპარატისტების წახალისებაში არ ითამაშა და პირიქით, პროცესს შეუწყო ხელი, ეს დიდი მიღწევა იქნება. ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის ცნობა-არცნობის საკითხი მეორეხარისხოვანი იქნება და მეორე პლანზე გადაიწევს. ჩვენ თუ ჩვენსავე თანამოქალაქეებთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოლაპარაკება მოვახერხეთ, ეს იქნება გადამწყვეტი ფაქტორი.

**— ხელისუფლების ცვლილებიდან ორი წლის თავზე თქვენ როგორ შეაფასებდით საშინაო პოლიტიკაში არსებული პოლიტიკური პროცესების დინამიკას?**

— ვითარების დრამატიზება არ მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შიდა პოლიტიკაში არის პრობლემები. შეუდარებლად კარგი გარემოა ახლა ქვეყანაში, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ სერიოზული პროგრესია. მე ვიტყოდი, პრინციპული პროგრესია, თუმცა, დიდი პრობლემები რჩება დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ პრინციპთან დაკავშირებით. ეს გახლავთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. შეიმჩნევა ტენდენციებში გაგრძელდეს ის ხაზი, რასაც ატარებდა სააკაშვილი, როდესაც ხელისუფლების ერთ შტოს უზურპირებული ჰქონდა მთლიანად მთელი ძალაუფლება. ჩვენ დღესაც ვხედავთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს მთელი ძალაუფლების მონოპოლიზებას, რაც არ შეესაბამება დემოკრატიის განვითარების პრინციპებსა და ინტერესებს. ეს ქმნის იმის რისკს, რომ არასასურველი ტენდენციები განვითარდეს.

აგრეთვე პრობლემაა ის, რომ პოლიტიკური სივრცე ვერ იხსნება. მრავალპარტიული დემოკრატიის ნიშნებიც კი არ ჩანს. მეტსაც გეტყვით, ქვეყანაში არ არსებობს პარტია, რომელსაც აქვს იმის უნარი, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს თავისი იდეოლოგიით და მწყობრი ხაზით. ხელისუფლება და ნაცმოძრაობა უცნაური თამაშით ახერხებენ იმას, რომ პოლიტიკური სივრცე კიდევ უფრო ჩაკეტონ, იგი ორპოლუსიანი დატოვონ და მასზე შეთქმულების თეორიებზე მუდმივი საუბრებით სხვა მოთამაშეები არ დაუშვან. ეს არ წაადგება ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებას და იმ პრინციპებს, რაც ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ევროპაში ჩვენივე ინტეგრაციისათვის.

**— ხელისუფლება, ხელისუფლების მხარდამჭერი ორგანიზაციები სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ ნაცმოძრაობა ქვეყანაში არეულობას გეგმავს. ხელისუფლებისა და ნაცმოძრაობის მხარდამჭერთა შორის დაპირისპირებამ ქუჩაში თუ სხვა ადგილებში უკვე კონკრეტული კონტურები შეიძინა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან 2 წლის თავზე ქვეყანა თავისი განვითარების ახალ ეტაპში შედის. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი შეიძლება იყოს იგი?**

— მე ახალ ეტაპში შესვლას ვერ ვხედავ, მაგრამ ჩემი აზრით, სიტუაცია არის ძალიან მყიფე. ფაქტობრივად, ალბათობა და რისკი იმისა, რომ ჩვენ უკან დავიხიოთ და ჯოჯოხეთში გადავინაცვლოთ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს. „თავისუფალი ზონა“ ჩემთვის ძალიან მიუღებელია, მაგრამ ეს არის ჩემი ემოცია. როდესაც იმის ალტერნატივას ქმნი, რომელიც იგივე პრინციპებით მოქმედებს, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ასე მიუღებელია „თავისუფალი ზონა“, ამით შენ ხელს უწყობ და სტიმულირებას უკეთებ აგრესიული გარემოს გაძლიერებას. რაც არ უნდა მოგწონდეს მათი მიზნები, საბოლოო ჯამში აგრესია და ეს ორგანიზაცია შესაძლოა, ისეთივე ურჩხულად ჩამოყალიბდეს, რასაც სულ ცოტა ხნის წინ თავად ებრძოდი. მარტივად რომ ვთქვათ, ამგვარ აგრესიულ ბრძოლაში შენ თავად ხდები ურჩხული. ამიტომ, აგრესიული ორგანიზაციების სტიმულირება ძალიან სახიფათო რამაა ქვეყნისთვის. როდესაც ხელისუფლებას მოსწონს რადიკალიზმი, თუნდაც სამართლიანობის დროშით, ეს ძალიან სახიფათო რამაა.

ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა ერიდებოდეს ქვეყანაში რადიკალურ განწყობებს. რაც არ უნდა კარგი მიზნები ჰქონდეს რადიკალურ ჯგუფებს, ხელისუფლება უნდა ცდილობდეს მათი მოქმედების პრევენციას და საზოგადოებაში ამგვარი განწყობების მაქსიმალურად ჩაქრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შეიძლება გადაიზარდოს უკონტროლო პროცესებში. ასეთ ვითარებაში ხელისუფლება იმაზე უკეთ არ შეიძლება გამოიყურებოდეს, ვისაც შეიძლება ის ებრძოდეს.

**კობა ბენდელიანი**

---

**ალიანჩალიანი**

## ახალ ავტობუსებს კვლევის შემდეგ ჩამოიყვანენ



**რომელი ტიპის ავტობუსების შემოყვანა იქნება თბილისში მიზანშეწონილი, კვლევის შედეგად გახდება ცნობილი. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.**

**ნარმანიას თქმით, უცხოური კომპანიების მხრიდან ასევე არის ინტერესი, საქართველოში განხორციელდეს ინვესტირება, ავტობუსების ქარხანასთან დაკავშირებით.**

**— მე დავიწყე მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. ისინი გააკეთებენ სპეციალურ კვლევას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელი ტიპის ავტობუსების შემოყვანა იქნება მიზანშეწონილი. მეორე მხრივ არის ინტერესი უცხოური კომპანიების მხრიდან, რომ საქართველოში განახორციელონ ინვესტიცის საამწყობო ქარხანასთან დაკავშირებით და ამაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ჯერჯერობით ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვაქვს, მაგრამ კვლევის შედეგად დადგინდება, რომელი ტიპის ავტობუსების შემოყვანაა მიზანშეწონილი, — აღნიშნა ნარმანიამ, რომლის თქმითაც, 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის ორგანიზებისთვის რამდენიმე ათეული ახალი ავტობუსის შეძენა იქნება საჭირო და ამ თვალსაზრისითაც აქტიური მუშაობა დაწყებულია.**

**ინტერპრესი**

კოლეგები

# მეხუთე ოცეულშიც – ღირსეულ ადამიანად!

**საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის წევრებმა, საპატიო მოქალაქეთა საბჭომ და საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის ორგანიზაციამ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ალექსანდრე შენგელიას და მაღალი შეფასება მისცეს საიუბილეო დღეებში გამოცემულ და მასპინძელთა ფართო სამსჯავროზე წარდგენილ მის პოეტურ კრებულს.**

**გთავაზობთ ამ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის, პროფესორ ოთარ ჭუმბურიძის გამოსვლის ტექსტს.**

სიტყვის თქმა იოლია, მაგრამ ქაღალდზე მისი შეჩერება – ძალზე ძნელი, რადგან ნათქვამი გაფრინდება და შეიძლება მეხსიერებიდან გაქრეს კიდეც, ქაღალდზე გადატანილი სიტყვა კი საუკუნის შემდეგაც შეგახსენებს თავს და ნათქვამზე პასუხს მოგთხოვს. ამიტომ სიტყვა ვიდრე შენთანაა, შენა ხარ მისი მბრძანებელი, მაგრამ როგორც კი ბაგეს გასცდება, შენ თვითონ ხდები მისი მონა და მორჩილი. ამის გამო არის საჭირო, რომ აზროვნების სამუხრუჭე მექანიზმი ისე გქონდეს აწყობილი, სიტყვამ წინ ვერ გადაგასწროს და მერე გაუაზრებლად ნათქვამის მონად არ გაქციოს.




ამაზე შემთხვევით არ ვამახვილებ ყურადღებას.

დღევანდელი ჩვენი იუბილარისათვის, რომელიც ხან ბეჭდვურ და ხანაც ელექტრონულ მედიაში ესათუთებოდა და ესათუთება სათქმელს, არასდროს გაუსწრია სიტყვას და ეს იმიტომ, რომ ფურცელზე გადატანამდე რამდენჯერმე შემოუვლის თითოეულ მათგანს და მანამდე არ მოეშვება, ვიდრე არ მიუჩენს სასურველ და ღირსეულ ადგილს.

სიტყვის ეს გამრანდავი, ჩვენი დღევანდელი იუბილარი, ბატონი ალექსანდრე შენგელია მრავალმხრივი შემოქმედია – პუბლიცისტი, ჟურნალისტი და ორიგინალური ხელწერის მწერალია, რაც ერთხელ კიდევ თვალნათლივ დადასტურდა დღეს ჩვენს წინაშე წარმოდგენილი საიუბილეო კრებულით, რომელიც საოცრად „მორგებული“ სათაურითაც იქცევს მკითხველისა და განმკითხველის ყურადღებას, რამეთუ გვაუწყებს, რომ წიგნში დასტამბულია „მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყარზე ქარბორბალაში მოხვედრისას თქმული ლექსები“.

ამბობენ, მოაზროვნე ადამიანები ადრე ბერდებიანო.

საბედნიეროდ ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ბატონ ალექსანდრეზე, რომელიც 80 წლის ასაკშიც ჭაბუკური ენერგიით გამოირჩევა

და აზროვნება შესაშურად ახალგაზრდული აქვს.ეს არა მარტო მის პოეზიაზე ითქმის, არამედ მის სარედაქტორო და ჟურნალისტურ მოღვაწეობაზეც.

მქონდა ბედნიერება, რამდენჯერმე მენახა და დავკვირვებოდი, როგორ მუშაობდა იგი, როგორც რედაქტორი.

უსწრაფესად გაადევნებს თვალს როგორც საკუთარ, ისე სხვის ნალვაწს და არა მარტო იმ აზრს, რომელსაც ავტორი გამოთქვამს, არამედ ფაქტობრივად, ყველაფერს, რაც ამ აზრის წარმოსაჩენად არის გამოყენებული, ხელუხლებლად ტოვებს. თითქმის არაფერს შეცვლის, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას გადაანაცვლებს, ადგილს საუკეთესოს შეურჩევს,მოხდენილ და მშვენიერ გარემოს მოუძებნის და უკვე ხედავ,რომ სტატიის ზემოქმედებითი ძალა სულ სხვა ხდება, ისევე იცვლება, როგორც დიდოსტატი მხატვრის მიერ ფერტილოზე დადებული თითქმის შეუმჩნეველი ფერი ან შტრიხი, რომლებიც უსახურ გამოსახულებას ულამაზესად აქცევენ ხოლმე.

არც მე და არც ჩემი თაობის რომელსამე წარმომადგენელს არასოდეს დაგვავიწყდება მისი ავტორობით დარისხებული კაკაბეთის ზარების ექო და ამ გადაცემის ძალზე შორს მიმავალი შედეგები. არასდროს დაგვავიწყდება თანაგუნდელებთან ერთად რამდენიმე ათეული წლის წინათ მისი ავტორობით ცისფერი ეკრანიდან ნანახი „რისხვით შეკრული მუშტი“ და „მივლინება ჯოჯოხეთში“, რომელიც იმ დიდ უბედურებაზე მოგვითხრობდა, რაც ნარკომანი მშობლების შვილებს ემუქრება,რადგან, როგორც ჯერ კიდევ ჰენრიკ იბსენი გვაფრთხილებდა, მშობლების ცოდვა შვილებს მოეკითხება ხოლმე. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ მისი საიუბილეო კრებულის გამოჩენამდე რამდენიმე თვით ადრე დაიბეჭდა მისივე „სათრეველების“ კრებული,რომელიც გვაფრთხილებს, რომ დროა გამოფხიზლებისა, რათა, რაც ეროვნული და საამაყო გვაქვს, სიბილწემ და მკრეხელობამ არ გადალეკოს.

დადის ბატონი ალექსანდრე ჩვენს ქალაქსა და სრულიად საქართველოში და კვლავაც ბრძნულად და სხარტად გადმოგვცემს თავის სათქმელს.მკვეთრად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას საგნებსა და მოვლენებზე და თუმცა, საუბრისა და კამათისას დარბაისლურად იცავს ზრდილობისა და კაცურობის ყველა მოთხოვნას, მაგრამ სიმართლეს არასდროს ღალატობს და, როგორც ნარკვევებსა და პუბლიცისტურ წერილებში, ისე მაღალმხატვრულობით გამორჩეულ თავის ლექსებში გულწრფელია და საოცრად გაბედული.

საქართველოში უაღრესად ბევრი იცნობს და სათანადო პატივსაც მიაგებს, მაგრამ ეს სრულიად უპრეტენზიო კაცი, რომელსაც ქვეყანასა და ჩვენს ქალაქში უამრავი სიკეთე აქვს დათესილი,ისე დადის, თითქოს მიწაზე ფეხის დაბიჯებისა ერიდება.

დაე, იაროს, რომ ისევ და ისევ მრავალ გამოცდას გაუძლოს, რამეთუ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ქალაქსა და თითოეულ ჩვენგანს კვლავ კარგა ხანს გვჭირდება მისი პოეზიით დატკბობა, პატიოსნება, ცხოვრებისეული გამოცდილება, შემართება და რისხვით შეკრული ის მუშტი, რომელიც უკეთურობას არასდროს შეაშველებს ხელს და ამიტომ მეხუთე ოცეულშიც ღირსეულ ადამიანად დარჩება.

**ოთარ ჭუმბურიძე,**

**პროფესორი, პოლიტოლოგიის დოქტორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

ანდრია აფაქიძე – 100

# მეცნიერის გახსენება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქართველი მეცნიერის ანდრია აფაქიძის დაბადების 100 წლისთავი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებათა ციკლით აღნიშნა. 3 ოქტომბერს აკადემიაში საიუბილეო სხდომა გაიმართა, ხოლო 4 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აკადემიკოსის ხსოვნას სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა.**



მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ფოტოკოლაჟის ჩვენება, რომელიც ანდრია აფაქიძის ცხოვრების განვლილ გზას ასახავდა. მეცნიერის აღზრდილმა, ასევე გამოჩენილმა მეცნიერმა გურამ ლორთქიფანიძემ კი ვრცლად მიმოიხილა აკადემიკოსის მოღვაწეობა და წვლილი, რომელმაც ქართულ მეცნიერებას ღირსეული კვალი დაამჩნია.

აღსანიშნავია, რომ ანდრია აფაქიძე იყო ეროვნული აკადემიის პირველი აკადემიკოსი არქეოლოგი, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების პირველი აკადემიკოს-მდივან არქეოლოგი. მან შექმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან კომპიუტერული სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრი, სადაც თავმოყრილი იყო ცნობები ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ.

ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე თავისი სამეცნიერო მოღვწეობის პერიოდში, მუშაობდა ანტიკური ხანის არქეოლოგიის საქართველოს ძველი კულტურისა და კავკასიის ცივილიზაციის საკითხებზე. მისი ძირითადი ნაშრომები ეხება ანტიკური ხანის ქართული ქალაქების ისტორიას. მისი ხელმძღვანელობით და თანაავტორობით შეიქმნა „საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (1959), პირველი „არქეოლოგიური ლექსიკონი“ (1980). ანდრია აფაქიძე გახლდათ აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (1943-1953), მიენიჭა აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, (1964). ანდრია აფაქიძემ განსაკუთრებული ღვაწლი გასწია საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის შესასწავლად. იგი გახლდათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის საპატიო მოქალაქე, მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის გ. ნიორაძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი. **„ბატონმა ანდრომ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა საერთო კავკასიური კულტურის და ცივილიზაციის არსებობის კონცეფცია, რომელიც დღესაც აქტუალურია“,** – აღნიშნა გურამ ლორთქიფანიძემ.

არქეოლოგების მთელი თაობის მასწავლებელი, პრინციპული, მომთხოვნი, სამართლიანი... – განსაკუთრებული სითბოთი და ღირსებით იხსენებდნენ ბატონ ანდრიას მისი კოლეგები: როინ მეტრეველი, ოთარ ჯაფარიძე, ნანა ხაზარაძე, დავით მუსხელიშვილი და სხვები.

**სამეცნიერო კონფერენცია: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ თსუ-ს რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გახსნა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ რექტორის სახელით მიღება გაიმართა. ამის შემდეგ საღამოს გამოფენა გაიხსნა, რომელიც კონცერტით დასრულდა.**

**ნია ფიფია**

კაკალ გულში

# წერტილოვანი თეზისები

**● სანამ პასუხისმგებლობა იმ პირზეც არ განაწილდება ვინც სამსახურში მიიღო არაპროფესიონალი (ძალიან რბილად ვამბობ და ვანზოგადებ), ვისი რეკომენდაციითაც დაიწყო სახელმწიფო სამსახური ადამიანმა, რომელმაც საქმის კეთების ნაცვლად დანაშაული ჩაიდინა (ან საერთოდ არაფერი არ გააკეთა, (ანუ მის მიერ ბიუჯეტიდან მიღებული ხელფასი ფაქტობრივად წყალში გადაიყარა), არაფერი არ გამოვა!!!**

**● დაიწყება საინფორმაციო (ნებისმიერ არხზე) და წამოვა გვამები, – სამამულო, კონტინენტალური, გლობალური.**

**არადა, ორი გვამი მინდაო, იმ კაცმა, – მეტი ხომ არ უთქვამს?!**

**● გრიგოლია მიმართავს დებატების მონაწილეებს:**

**– მე მიზანმიმართულად არ ვეკითხები ბატონ კუბლაშვილს, იმიტომ, რომ... – უცებ გამიელვა იმედმა, რომ იტყოდა: იმიტომ, რომ ნაძირალა არისო, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვაგვარად გააგრძელა და დაკარგა შანსი ეროვნული გმირი გამხდარიყო...**

**სახურავებზე შემოწყობილი გვამების ფონზე რომ გვიმღერა ჰიმნი ბადურაშვილმა, მაშინ სად იყო ნიკაპ-შუბა ხაჩიძე?**




**● ვამბობდი და ახლაც ვამბობ, საბოტაჟია!**

**კრიმინალური პოლიციის უფროსი რომ ნაციონალი, ყველაფრის მკადრებელი დავით მხეიძე იქნება (სოდ-ის ყოფილი მალალჩინოსანი), კარგს რას უნდა ველოდოთ ან ჩვენ, ან საქართველოს მთავრობა/Government of Georgia?!**

**ჩემი ინფორმაციით, ზუსტად მხეიძის განყოფილებამ ჩაუდო ნარკოტიკი თენგო ერისთავს! ვინ ვინ და ამ წრეში გაზრდილმა მხეიძემ ზუსტად იცოდა რამხელა უკმაყოფილებას გამოიწვევდა ყველასთვის საყვარელი ოჯახის უსამართლოდ დაჩაგვრით... და ისიც, რომ ამდენი ხალხი ხელისუფლებაზე გამწარდებოდა..**

**P.S. ბლონჟეიანმა სცადა „კვალის არევა“, მხეიძის ჯგუფისთვის ხელის დაფარება და სულ სხვა პოლიციელების სია დადო...**

**● შაბაშები ყოფილა ბლომად, ჰოდა ჩაურიცხავენ კარტაზე გიგის და ვანოს.**

**● „ჩემო კარგო ქვეყანა“ ილიამ 120 წლის წინ დაწერა და დღესაც იმ „მომავალზე“ ვოცნებობთ. „ოცნებავ“ გეყურება?!**

**● ბესარიონ დონაძე გაუშვიათ ისნის გამგეობიდან...**

**უფრო გარეწარს და ამაზრზენს ვერც ვერავის დაიცავდნენ...**

**ეგრე გააგრძელეთ.**

**ამოკრიბა**

**გია გაბრიჭიძემ**

ალიანჩალიანი

# ამერიკული ტრენინგები მანდატურებისთვის

**საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურისა და ამერიკის სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელთა ერთობლივი კონფერენცია – „უსაფრთხო სკოლა“ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარეობს. კონფერენციას ესწრებოდნენ: განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, ამერიკის სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს მორის ქენედი, მანდატურის სამსახურის უფროსი ვახტანგ მეიფარიანი.**

**ამერიკის სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელთა ვიზიტის ფარგლებში, მანდატურის სამსახურის თანამშრომლებისთვის ტრენინგები ჩატარდება, მოხდება გამოცდილების გაზიარება ქართველ და ამერიკელ მანდატურებს შორის სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციული ღონისძიებების გატარების, მოძალადის გამოვლენისა და შესაბამისი ორგანოების დროულად ინფორმირებულობის საკითხებზე.**

# სოხუმიდან ნიუ-იორკამდე

**როცა ჩვენი გარემომცველი სინამდვილე სიახლეებით დიდად არ გვანებივრებს, სულ უმნიშვნელო სიახლეც კი გვახარებს და მომავლის იმედით ალგვავსებს, ხოლო როცა მნიშვნელოვან წარმატებებზეა ლაპარაკი, შეიძლება მკითხველს გადაჭარბებული ეჩვენოს ის, რაც თითქმის გამონაკლისია, გამორჩეულია, ყველასთვის მისაბაძია. ერთ ასეთ გამორჩეულ ფაქტზე მინდა, მივაპყრო ჩვენი მკითხველის ყურადღება.**

ნანა ჯინჯოლავა ჩვენი თანამემამულე გახლავთ, მისი მშობლები აფხაზეთიდან არიან იძულებით გადაადგილებულნი, ანუ დევნილნი. ნანა ამერიკაში მოღვაწეობს, ამერიკაში მოღვაწე წარმატებული ქართველია. იგი სწავლობს და მუშაობს ნიუ-იორკში, სინაის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის რევმატოლოგიის დეპარტამენტში, სადაც მას, ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტს, მეტად პერსპექტიულ ექიმად განიხილავენ. ეს ჰოსპიტალი კი ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ჰოსპიტლების ოცეულში შედის. ანუ, ერთ-ერთ უდიდესი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოსპიტლის საუკეთესო ექიმებს შორის ამ ახალგაზრდას ჭკვიანი სპეციალისტის სახელი აქვს — აი, რა არის ძალზე საინტერესო.

ნანა სოხუმში, ექიმების ოჯახში დაიბადა. შვიდი წლის ასაკში მშობლიური ქალაქის დატოვება მოუწია. ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის და შესაბამისად, სკოლის შეცვლაც. სწავლობდა ქუთაისისა და თბილისის სხვადასხვა სკოლაში. ყველგან გამორჩეული მოსწავლე იყო. იმარჯვებდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ოლიმპიადებზე, წარჩინებით დაამთავრა თბილისის 102-ე საშუალო სკოლა. მეთერთმეტე კლასში იყო, როცა მონაწილეობა მიიღო, გაიმარჯვა და გახდა ამერიკული საბჭოს მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის სტიპენდიატი. ამ პროგრამით ნანა ამერიკაში კალიფორნიის შტატის ქალაქ ვილითში სწავლობდა, სადაც ბრწყინვალედ დაამთავრა უმაღლესი სკოლა, იყო საუკეთესო სტუდენტი თავის კლასში. გამორჩეული აკადემიური მიღწევებისათვის თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდო დაიმსახურა.

კალიფორნიის შტატის ბიოლოგიის გამოცდაზე მიღებული უმაღლესი შედეგისთვის ოქროს სიგელით დაჯილდოვდა. ამის შემდეგ ნანამ სწავლა საქართველოში, აიეტის სამედიცინო უნივერსიტეტში გააგრძელა — ისევ საუკეთესო შედეგები, რეიტინგში მუდმივად პირველი ადგილი...

აიეტის სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნანამ წარმატებით ჩააბარა ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდები და მიენიჭა სერთიფიკატი, რომლითაც მან უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო სამედიცინო რეზიდენტურის შესარჩევ პროგრამაში.

ამის შემდეგ მას საშუალება მიეცა, ემუშავა მეცნიერ-თანამშრომლად, ჩაეტარებინა კვლევები, ესწავლებინა სტუდენტებისთვის ალბერტ აინშტაინის სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიური კვლევების დეპარტამენტში. ამ უნივერსიტეტში მისი ერთწლიანი მოღვაწეობა მეტად შთამბეჭდავი იყო — გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო შრომა, მოხსენებით გამოდიოდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმზე.

საინტერესო კვლევების პარალელურად, ნანამ მონაწილეობა მიიღო სამედიცინო რეზიდენტურის პროგრამაში, რაც კვლავ წარმატებით დაგვირგვინდა — ამერიკის მთავრობამ იგი დააფინანსა. ამის შემდეგ ნანამ სამედიცინო რეზიდენტურა ალბერტ აინშტაინის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში გაიარა, სადაც მოხვედრა უცხო ქვეყნის კურსდამთავრებულისთვის უდიდეს მიღწევად ითვლება.

2013 წელს რეზიდენტურაში მიღწეული წარმატებებისთვის მას საშუალება მიეცა, გამხდარიყო უფროსი რეზიდენტი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ნანამ გააგრძელა სამეცნიერო კვლევები, პარალელურად ასწავლიდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და რეზიდენტებს, მონაწილეობდა თერაპიის კათედრის საქმიანობაში.



ერთწლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ იგი უფროსი რეზიდენტის დიპლომით დაჯილდოვდა. მისი შემდგომი კარიერა სწორედ რევმატოლოგიასა და იმუნოლოგიაში ჩატარებულმა კვლევებმა განაპირობა.

წარმატებულად გავლილი შესარჩევი ტურის შემდეგ, მას რევმატოლოგიის განხრით ორდინატურაში სწავლისთვის სტიპენდია და დაფინანსება გამოეყო.

ამჟამად, როგორც გითხარით, ნანა სწავლობს და მუშაობს სინაის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის რევმატოლოგიის დეპარტამენტში. ამ ჰოსპიტალში მუშაობა და სწავლა ბევრი სტუდენტისა და რეზიდენტის ოცნებაა. რევმატოლოგიის დეპარტამენტი, სადაც ნანა ჯინჯოლავა მუშაობს, ითვლება მსოფლიოში ისეთი იშვიათი დაავადების წამყვან ცენტრად, როგორიცაა ამილოიდოზი. მას ყოველდღიურად უწევს ურთულესი პათოლოგიის მქონე პაციენტების მიღება და დახმარება.

და ბოლოს, 2000 წელს ნანამ წარმატებით ჩააბარა ამერიკის სამედიცინო საზოგადოების მიერ დანიშნული გამოცდები და შტატებში ექიმად მუშაობის ლიცენზია მოიპოვა.

ჰყავს მეუღლე, ასევე ექიმი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტის კურსდამთავრებული მიხეილ ვერულაშვილი და ორი წლის ვაჟი — ლუკა.

უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მეამაყება, რომ ეს საოცარი ახალგაზრდა „ჩემი სოხუმელია“. უფრო მეტიც, ჩემი თანაკლასელების ლელა მეტონიძის და ამირან ჯინჯოლავას შვილია. ლელამ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა.

მახსოვს, წლების წინ ქუჩაში ლელა შემხვდა. ვისაუბრეთ აფხაზეთიდან დევნილების საყოფაცხოვრებო პირობებზე, საუბრის დასასრულს ისე, სხვათაშორის მითხრა, ხვალ სამედიცინო უნივერსიტეტში დისერტაციას ვიცავ, ამ დევნილობაში დარდისგან დავჯექი და დისერტაცია დავწერეო.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ლელას და ამირანს მეორე შვილიც საოცარი ჰყავთ. ანა იურისტია, მან ჯერ გერმანიაში ისწავლა, ახლა ისიც ამერიკაშია და ამჟამად იქ საჯარო სამსახურში მოსახვედრად კონკურსისთვის ემზადება.

კონკურსის საჯარო სამსახურში... არ ვიცი ამერიკაში როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი, მაგრამ საქართველოში რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ცხადია. რაკი ჩვენი საზოგადოებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მოდით, ცოტა ხანი წერილის თემას გადავუხვიოთ და ერთად გავაანალიზოთ ამ მხრივ რა ხდება ჩვენთან, სად არის გამოსავალი.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთან საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტი არ არის, სარეკომენდაციო ხასიათისაა. ის კი, რაც სარეკომენდაციო ხასიათისაა, სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ჰა, როგორ მოგწონთ?

**ვთქვათ, თქვენ ბრწყინვალედ გაიარეთ ტესტირება, მიიღეთ უმაღლესი ქულები და მშვიდად ელოდებით კონკურსის ბოლო ეტაპს — გასაუბრებას. თქვენი სიმშვიდე ნაადრევია (მე ეს თვითონ გამოვცადე საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში), რადგან გასაუბრებაზე ყოველგვარი ჩაწყობა „მოსულა“.**

არადა, წერითი გამოცდა, ანუ ტესტირება, რომელიც ერთდროულად ორ საგანში ტარდება, ერთი შეხედვით უმაღლეს დონეზეა გადაწყვეტილი. გეძლევათ თითო საგანში ორ-ორი საათი, ნახევარსაათიანი შესვენებით. როგორც ამბობენ, ტესტებს კომპიუტერი ასწორებს. ანუ, იდეალური პირობებია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ერთი შეხედვით იმიტომ, რომ იქმნება შთაბეჭდილება **ეს ყველაფერი მოჩვენებითია და ობიექტურობის მხოლოდ ილუზიას ქმნის. სინამდვილეში კი ტესტირებაზე ასიდან ასი ქულაც რომ მიიღოთ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ უნდათ, გასაუბრებაზე მაინც ჩაგჭრიან და თუნდაც ყველაზე დაბალქულიანს გაიყვანენ. თუკი, რა თქმა უნდა, იმ დაბალქულიანის უკან „პატრონი“ დგას. და ასე ხდება მიღება — „ამის დარეკილზე“, „იმის დარეკილზე“. თქვენს შესახებ კომისიის წევრებისთვის არავის დაურეკავს და საკუთარი თავის იმედით მიხვედით კონკურსზე? რა გულუბრყვილო ყოფილხართ! თუ დაგჩაგრავენ სასამართლოში იჩივლებთ და პროცესს მოიგებთ? ეს კი მთლად უსაზღვრო გულუბრყვილობაა. აკი გითხარით, სასამართლოში არ საჩივრდება ის, რაც სამართლებრივი აქტი არ არის. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. რეკომენდაციას კი არ გაძლევ, ბატონო, არ მინდა და არ გაძლევ. წადი და სადაც გინდა, მიჩივლე. აი ასეთი ამბავია! საინტერესოა, ვინ მოიფიქრა ასეთი ცინიკური კანონი. რთული შეკითხვაა... ან ერთი უფლებადამცველი ან ერთი არასამათავრობო მაინც როგორ არ მოიძებნა, ვინც ამდენი ხანი ამ უსამართლობას წინ აღუდგებოდა? ეს კიდევ უფრო რთული შეკითხვაა, ორი-სამი სიტყვით ვერ ახსნი.**

რთული შეკითხვები სხვაც ბევრია საზოგადოებაში დაგროვილი. ამიტომაც მეიმედება ისეთი ახალგაზრდების, როგორიც ნანა ჯინჯოლავაა, თავისი მომავალი თვითონ რომ გამოჭედა, როგორიც მისი და ანაა, როგორიც სხვა მათი თანატოლები არიან, დღეს სხვადასხვა ქვეყანაში სასწავლებლად რომ მიმოფანტულან. მჯერა რომ დაბრუნდებიან, ნორმალურ კანონებს მაინც შემოგვთავაზებენ. ალბათ, უკეთესად ცხოვრებას გვასწავლიან.

**მათ ზუსტად იციან, რისი მიღება უნდათ ცხოვრებისგან. იციან, რომ ცხოვრება მხოლოდ საკუთარი თავის პოვნა არაა. ცხოვრება საკუთარი თავის შექმნაცაა და თუ შექმნი საკუთარ თავს, ესე იგი, სამშობლოს გამოადგები.**

**მზია გელენავა,**

**სურათზე: ანა ჯინჯოლავა მეუღლესთან და შვილთან ერთად.**

## ალიანჩალიანი

# ახალი ბინები დევნილთათვის

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილეები შოთა რეხვიაშვილი და მამუკა ცოტნიაშვილი სურამში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ.**

**დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, 52 დევნილი ოჯახი სურამში, სანატორიუმის ჩასახლებაში, წლების განმავლობაში ურთულეს პირობებში ცხოვრობს. ლევან**



**სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, დევნილების საცხოვრებელი ობიექტი ნგრევადია.**

**აღნიშნული ოჯახები, კრიტერიუმების შესაბამისად, საცხოვრებელ ფართებს ხაშურში, ახლად რეაბილიტირებულ კორპუსებში მიიღებენ.**

**ხაშურში, რუსთაველის ქ. №38-ში, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ორი ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. რეაბილიტაცია უტარდება ყოფილი საავადმყოფოს შენობასა და მშენებარე კორპუსს. შვიდსართულიან შენობებში, საცხოვრებელ ფართს 110 დევნილი ოჯახი მიიღებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები 10 თვის ვადაში დასრულდება.**

# ბორჯომში ბინების განაწილების კენჭისყრა გაიმართა

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებმა ბორჯომში დევნილი ოჯახებისათვის, კენჭისყრის პრინციპით, საცხოვრებელი ფართების განაწილების პროცედურა ჩაატარეს.**



**სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ოჯახებს ბინები ბორჯომში, ვაშლოვანის ქ. №2-ში, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში გადაეცემათ. დევნილი ოჯახების შერჩევა გრძელვადიანის განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად მოხდა.**

**ფარული კენჭისყრის საშუალებით გამოვლინდა კონკრეტულად რომელ ბინებში გადანაწილდებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები. შენობაში სულ 18 ბინაა, აქედან 8 — ერთოთახიანი, 5 — ოროთახიანი, 5 — სამოთახიანი.**

ინტერპრესი

გვეხმაურებიან

# შესანიშნავი წერილისგან მიღებული შთაბეჭდილება

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 2 ოქტომბრის ნომერში წავიკითხე ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის გურამ გოგიაშვილის ვრცელი წერილი „ამბავი მძევალი იმერელი ბიჭისა, რომელიც ჩვენი დროის ფრიად გამორჩეულ დიდ რუს პოეტს გაუწინაპრდა...“**

თავიდანვე მინდა, განვაცხადო, რომ შესანიშნავი წერილია, მაღალი დონის, მოწონებას იმსახურებს სათაურიც და მთლიანად შინაარსიც, რაღა თქმა უნდა, უნაკლოა ქართული ენაც.

ამ ბოლო ხანებში უკვე მხცოვანი ჟურნალისტის რამდენიმე ძალზე საყურადღებო წერილი წავიკითხე და მესიამოვნა, რომ წლებს მისი კალმის ძალა ვერ გაუხუნებია, ისევ ძველებური შემართებით წერს. ამ წერილმა, რომლის მსგავსი მართლა სასურველია, ხშირად იწერებოდეს და ხალხებს შორის ლიტერატურული ურთიერთობები შესანიშნავი ფაქტებით მდიდრდებოდეს, ძალიან დიდი ხნის წინანდელი ერთი ფაქტი გამახსენა.

1987 წლის ოქტომბრის ბოლოს იტალიაში ორკვირიანი მოგზაურობიდან დავბრუნდი, სადაც „საზოგადოება ცოდნის“ ორმოცკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში ვიმყოფებოდი. რა თქმა უნდა, ჩამოვედი მოსკოვში, მაშინ ყველა წასვლა-წამოსვლა მოსკოვით იწყებოდა და მოსკოვით მთავრდებოდა, გინდოდა თუ არა, ასე იყო.

მეორე საღამოს დიდ ქართველ მხატვართან ზურაბ წერეთელთან ვიყავი სტუმრად. ზურაბი მაშინ ჯერ კიდევ ტვერის ბულვარზე ცხოვრობდა. აქ იყვნენ რამდენიმე მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, მათთან ერთად დიდი, ფართოდ ცნობილი რუსი პოეტები ბელა ახმადულინა და ანდრეი ვოზნესენსკი.

ზურაბ წერეთელმა ვახშმად ყველანი მიგვიპატიჟა სასტუმრო „ნაციონალის“ რესტორანში. არაჩვეულებრივი მეგობრული სუფრა გაიმართა, შემოქმედებითი სულისკვეთებით სავსე. მოხდა ისე, რომ ანდრეი ვოზნესენსკი, ჩემს გვერდით აღმოჩნდა, ბელა ახმადულინა კი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. უკვე კარგად ვიყავით შექეიფებულები, როცა ზურაბ წერეთელმა დიდი სიყვარულით დალია საქართველოს სადღეგრძელო. ბელა ახმადულინამ ბრწყინვალე ლექსი წაიკითხა წიგნიდან „სიზმრები საქართველოზე“. თბილად და მგრძნობიარედ ილაპარაკა ანდრეი ვოზნესენსკიმაც. როცა დიდი პოეტი დაჯდა, მერე ლაპარაკში მე მითხრა: „ჩემშიც კი ჩქეფს ქართული სისხლიო“. გამიკვირდა და ჩავეძიე, საიდან, როგორ-მეთქი. მოკლედ მიპასუხა. „ჩემი ძვირფასი წინაპრებისგანო“. ამ დროს ახალი სადღეგრძელო წამოიწყო თამადამ და მეც კითხვები სხვა დროისთვის გადავდე. ეს შეხვედრა კი ვეღარ შედგა.

ეს მცირე მოგონება გურამ გოგიაშვილის უაღრესად კარგმა წერილმა გამოიწვია, რისთვისაც მრავალ მკითხველთან ერთად, მეც მისი გულწრფელად მადლობელი ვარ, მან ერთი მშვენიერი ლიტერატურული ფაქტი გააცოცხლა, ამით კი ნამდვილად მისასალმებელი საქმე გააკეთა.

აქვე ისიც მინდა, ვთქვა, რომ „ნაციონალში“ დიდ რუს პოეტებთან შეხვედრის შთაბეჭდილებით აღსავსემ შემდეგ ლექსიც დავწერე სათაურით **„პოეტური სუფრა“**, ლექსი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ 2014 წლის 25 ივლისის ნომერში დაიბეჭდა, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს ჩემს შორეულ მოგონებას.

**ნუგზარ წერეთელი**

## პოეტური სუფრა

დროა ისეთი, დარდებს რომ აშლის,
მხოლოდ ოცნება მიჩენს სხვა სურათს,
ჰა, ოცდახუთი წელი გასულა,
ქეიფის მერე „ნაციონალში“.
მოსკოვს ზამთრისპირ ყინავს ქარბუქი,
სივრცეს ნისლივით ედება კვამლი,
და ვით შემოსვლა წინაპრის ხმლით,
სული კრთის სხვისთვის გამონაშუქი.
სახლებს —
გაშლილი ქუჩების ფარებს
ეხეთქებიან ღია ქარები
და მანქანები მიაქანებენ
სტეპებს ასხლეტილ გამთოშავ ქარებს.
გაკვამლულ ჭერქვეშ ხდება შეკრება,
როცა ყინვები ქუჩებს მოედვნენ,
დღეს სუფრა ელით ნამდვილ პოეტებს,
და აქ ერთმანეთს
არვინ ეყრება.
შეხვედრა მწერლის ნაღდი ხვედრია,
ან ბუნებრივად წმინდა წესია,
ბატონობს სიტყვა და პოეზია,
სიტყვას კვიცივით უცებ ხედნიან.
ჩაიჭიკჭიკა თითქოს მერცხალმა,
ამღერდა ბელა ახმადულინა,
ბევრი რამ ჩნდება დაფარულიდან,
ლექსმა ფიქრივით ღვინოც შეცვალა.
თითქოს დანაპირს იხდის ურთულესს,
ამბიონს რომ ჰგავს, რუსულ ფრესკიანს,
ჩვენთან ანდრეი ვოზნესენსკია
დიდი ლექსით და
დიდი კულტურით.
სუფრაზე ლექსი უდრიდა მთავარს,
როს ოცნებები ერთად შეერთდნენ,
და უმადლიდნენ ზურაბ წერეთელს,
ვით მეგობრობის გულსა და ჯავარს.
და არავისგან ოდნავ მართული
დუღს პოეზია,
ყველგან მთავარი,
ძებნა სხვა რამის ახლა არ არი,
სიტყვა გაისმის
რუსულ-ქართული.
და, როგორც დიდი ზღაპრული რაში,
დრო მიფრინავდა,
კი არ ვათრევდით,
წუხდა რუსეთიც,
წუხდა თათრეთიც
ახმადულინას მთრთოლვარე ხმაში.
სიტყვა ყალყზეა წამომართული,
და ვოზნესენსკის ძიებებს ვხვდებით,
ახმადულინას საოცარ ხმებით
იღვრება სევდა,
ხშირად ქართული.
გზები რუსეთმა თუმც გვაცვლევინა,
ვერ შეგვიცვალა გზები რუსთველის,
ვინც სიტკბოება, ენით უთქმელი,
შარბათის მსგავსად დაგვაცლევინა.
ძველ გახსენებებს მძიმე დრო აშლის,
ძველი სულ რჩება, აღარ იშლება,
ახლაც ცხადივით თვალწინ იშლება
ერთი ქეიფი „ნაციონალში“.

ღია წერილი

# აღვადგინოთ ჰესების მშენებლობის ქართული სტანდარტი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს**

**ბატონო პრემიერო,**

**ჰიდრომშენებლების ერთი ჯგუფის სახელით მრავალჯერ მოგმართეთ თხოვნით, გაცნობოდით ჰიდრომშენებლობაში შექმნილ მდგომარეობას და მისი გამოსწორების მიზნით, მიგეცათ კონკრეტული დავალებები შესაბამისი სამინისტროებისათვის.**

**დღეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსები და არა მარტო ისინი, ამტკიცებენ, რომ ნაციონალების მართველობის დროს ხდებოდა სისტემური დანაშაულები. სისტემური დანაშაულები ხდებოდა მშენებლობაშიც და მათ შორის ჰიდრომშენებლობაში, ამიტომ, თუ არ შეიცვალა შენების წესი, მშენებლობისადმი მიდგომა, სისტემური დანაშაულები კვლავაც იქნება.**

**რამდენიმე დღის შემდეგ თქვენ მიემგზავრებით გაეროში და კლიმატის ცვლილებების შესახებ გაეროს სამიტზე სიტყვით გამოდიხართ. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით გაერომ რამდენიმე წლის წინათ რეკომენდაცია მისცა წევრ ქვეყნებს, შეემცირებინათ თბო და ატომურ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის გამომუშავება და გაეზარდათ განახლებადი რესურსებით წარმოებული ენერგიის გამოშვება.**

**მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში თბოელექტროსადგურებს კვლავ აშენებენ. ქართველი ინვესტორი სომხეთში აშენებს თბოელექტროსადგურებს ელექტროენერგიის საქართველოში შემოტანის მიზნით, ხოლო ხუდონჰესი კვლავ ვერ შენდება, დარიალის ხეობაში აგებენ ჰესებს ზვავსაშიშ ზონაში და ქვეყნის სხვა ადგილებში აშენებული მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესები ან საერთოდ არ მუშაობენ, ან მუშაობენ მინიმალური სიმძლავრით, რადგან ისინი ააშენეს ყოველგვარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე.**

**ჰიდრომშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა მოხსენდა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და ჩვენი ინფორმაციით მეცნიერები საკითხს სწავლობენ.**

**მეცნიერებათა აკადემიის მიერ საკითხის შესწავლამდე აუცილებლად მიგვაჩნია, დაავალოთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თავის სამინისტროში შექმნას ჰესების პროექტების ექსპერტიზის განყოფილება.**

**ჰესების მშენებელმა ორგანიზაციამ ჰესის განთავსების გეგმა, ჰესის ენერგეტიკული მახასიათებლები თვეების მიხედვით და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა შესათანხმებლად უნდა წარადგინონ ექსპერტიზის განყოფილებაში. მხოლოდ ასეთი შეთანხმებული პროექტის საფუძველზე უნდა მოხდეს ობიექტზე ნებართვის გაცემა და დაფინანსება. ასეთ პირობებში ექსპერტიზის განყოფილება დაეხმარება მშენებლებს და დამკვეთს ბევრი რთული საკითხის გადაწყვეტაში, ხოლო წამგებიან პროექტებს არ შეითანხმებს, რითაც სახელმწიფოსა და მშენებლებს დიდ ზარალს აცილებს.**

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დღეს აფასებს ჰესების მშენებლობის გარემოზე ზემოქმედებას. ექსპერტიზის განყოფილება გაუადვილებს მას ამ მისიის შესრულებას და რადგან ჰიდრორესურსებიც ბუნებრივი რესურსია, მისი განიავებისგან დაცვა სამინისტროს მოვალეობაში უნდა შედიოდეს.**

**ოთხკაციანი ექსპერტიზის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებული უნდა იყოს მხოლოდ გამოცდილი ჰიდრომშენებლებით, დიდად არ დააზარალებს იმ სამინისტროს, რომელსაც თქვენ ექსპერტიზის განყოფილების შექმნას დაავალებთ, ხოლო განყოფილება აღადგენს ქვეყანაში ჰესების მშენებლობის მსოფლიოში ერთ-ერთ მაღალ, ქართულ სტანდარტს.**

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას

**შპს „მცირე ჰესის“ დირექტორი**
**ნუგზარ კოზახიძე,**

ბოლნისი, სულხან-საბას 193. ტელ: 593 74 82 53

ალიანჩალიანი

# ირაკლი ალასანიამ ლიტველი კოლეგა მიიღო

**საქართველოში** ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ლიტველი კოლეგა იუზას ოლეკასი თავდაცვის უწყებაში მიიღო.



შეხვედრის დასაწყისში, ირაკლი ალასანიამ უელსში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოსთვის მინიჭებული არსებითი პაკეტის მიმართულებების იმპლემენტაციის პროცესში ლიტვის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორადაა აღიარებული. აქედან გამომდინარე, ნატომ საქართველოს თავდაცვის სფეროში განხორციელებული წარმატებული რეფორმების სხვა ქვეყნებისთვის გაზიარებისკენ მოუწოდა.

ირაკლი ალასანიამ ლიტველ კოლეგას საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მან ხაზი გაუსვა ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან შეერთებას, შეიარაღებულ ძალებში გატარებულ ინსტიტუციურ რეფორმებს, წოდებრივ ანაზღაურებაზე გადასვლას, ჯარის დეპოლიტიზაციას, სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მხარეებმა თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე შეთანხმდნენ. ყურადღება გამახვილდა განათლების მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავებასა და რეზერვის სისტემის დახვეწაზე. საუბარი შეეხო რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებსაც. ირაკლი ალასანიამ კოლეგას ქართული სამხედრო კონტინგენტების ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით ავღანეთსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ირაკლი ალასანიამ ლიტველ კოლეგას საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან ხაზი გაუსვა ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში ლიტველი დამკვირვებლების მონაწილეობის მნიშვნელობას და ნატოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სააგენტოს პროექტში „საქართველო IV“ ლიტვის მხარის აქტიურ ჩართულობას.

ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების შეხვედრას გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი, ასევე ლიტვის თავდაცვის უწყების დელეგაციის წევრები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

**ინტერპრესი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რა შეცდომები დაუშვა ვაშინგტონმა საქართველოსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობებში?

**ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი რცელ ინტერვიუში აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობაზე, უკრაინის კრიზისზე და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს და, ბუნებრივია, გვერდს არ უვლის საქართველოსაც (ესაუბრება ზაურ რასულზადე).**



**„ჯი-ეიჩ-ენი" გთავაზობთ ამონარიდს „ჰაქიზანში" მოქვეყნებული ინტერვიუდან:**

**— თქვენ არაერთხელ გაგიკრიტიკებიათ აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოლიტიკა. რა უნდა გააკეთოს მან, თქვენი აზრით, რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად უკრაინაში?**

— გავიხსენოთ ჩერნომირდინის ცნობილი ფრთიანი გამონათქვამი: **„გვინდოდა კარგად გაგვეკეთებინა, მაგრამ ისევ ძველებურად გამოგვივიდა"** იგივე აკეთებს აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციაც, რომელიც საგარეო პოლიტიკაში რაღაც წარმატებების მიღწევას ცდილობს, მაგრამ შეცდომებს უშვებს... მისი ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ისაა, რომ ბარაკ ობამამ დაუშვა ამერიკის გავლენის შემცირება პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამან კი რუსეთს მანევრირების საშუალება მისცა. ეს აისახა როგორც საქართველოსთან პოზიციებში, ასევე უკრაინასთან და ყაზახეთთან მიმართებითაც. თვითონ ბარაკ ობამა ამ ქვეყნებში არასდროს არ ჩასულა, იქ მხოლოდ ჯო ბაიდენს აგზავნიდა ხოლმე, რომელიც იქაურ ლიდერებს ლექციებს უკითხავდა კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში... ამით აშკარა ჩანდა, რომ თეთრმა სახლმა დისტანცირება მოახდინა მიხეილ სააკაშვილისგანაც, ილჰამ ალიევისგანაც და ნურსულთან ნაზარბაევისგან. ამტომაც ამგვარმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა აშშ-ის ინტერესებს ამ ქვეყნებში. რუსეთმა კი, დაინახა რა ამერიკის სისუსტე, აღნიშნულ სახელმწიფოებზე თავისი ზეწოლის გაძლიერება დაიწყო.

**— თქვენ ამით ხსნით აზერბაიჯან-რუსეთის ერთმანეთთან დაახლოების დაწყებას?**

— გარკვეული თვალსაზრისით, ეს ასეცაა. თანაც აქ საკითხი იმდენად ილჰამ ალიევის პირად წყენას კი არ ეხება ბარაკ ობამას მიმართ, არამედ იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც ვაშინგტონმა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ არჩია. მე ადრეც არაერთხელ მითქვამს და გამიფრთხილებია ამერიკული ისტებლიშმენტი, რომ შეერთებულმა შტატებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პოსტსაბჭოთა სივრცეს, სამხრეთ კავკასიას, კერძოდ კი აზერბაიჯანს, როგორც რეგიონის საკვანძო სახელმწიფოს. სამწუხაროდ, ამერიკაში არ ესმით აზერბაიჯანის როლი იმ ადამიანებს, რომლებიც დიპლომატიისა და უსაფრთხოების საკითხებით არიან დაკავებულნი. ისინი შერჩევით უდგებიან ორმხრივ ურთიერთობებს. დიახ, მე როგორც პოლიტოლოგს და როგორც აშშ-ის მოქალაქეს, ძალიან კარგად მესმის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრობლემები, მაგრამ ბაქოსთან მოლაპარაკების დროს არამხოლოდ ეს საკითხები უნდა იყოს პრიორიტეტული. ჩვენ ასევე აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ეკონომიკისა და უსაფრთხოების მიმართულებით. ბარაკ ობამას ჯერ კიდევ აქვს ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესების იმედი, რუსეთთან მიმართებაში კი მიაჩნია, რომ ვლადიმერ პუტინთან დამოკიდებულებაც პოზიტიური გახდება, უკრაინის კრიზისის მიუხედავად. აი, ასეთი პოლიტიკით ბარაკ ობამა არჩევანს აღარ უტოვებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საქართველო და აზერბაიჯანი. სომხეთთან, პრინციპში, ყველაფერი გარკვეულია... ასე რომ, თბილისსა და ბაქოს ვაშინგტონმა არჩევანი არ დაუტოვა და იმათაც რა ექნათ, დაიწყეს დაბალანსებული პოლიტიკის ძიება როგორც მოსკოვთან და პეკინთან, ასევე თეირანთან და ანკარასთან...

# საქართველო-იაპონია: GURUJIA ადგილს JOJIA-ს დაუთმობს

**იაპონიის მთავრობა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის - საქართველოს დასახელების ტრანსლიტერაციას შეცვლის: დღევანდელი, რუსული ენიდან წარმოებული „Gurujia" შეიცვლება ინგლისური ენიდან წარმოებულით - „Jojia". „ეს ცვლილებები საქართველოს ხელისუფლების თხოვნით ხორციელდება", — თქვა იაპონიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.**

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც იაპონიას ამ თვის ბოლოს ეწვევა, მოსალოდნელია, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სინძო აბესთან დაგეგმილი შეხვედრის დროს კვლავ გაიმეორებს (ამ საკითხზე ადრე გაკეთებულ) თხოვნას. იაპონიის მთავრობა (როგორც ჩანს), დაიწყებს იმ აუცილებელი პროცედურის განხილვას, რომელიც შესაბამისი კანონის გადახედვასთანაა დაკავშირებული, — წერს „ჯაპან ნიუსი"



The Japan News
by The Yomiuri Shimbun

‘Gurujia’ to give way to ‘Jojia’

October 05, 2014

The Yomiuri Shimbun

The government will change the transliteration for Georgia, a former Soviet republic, from the current Russian-derived "Gurujia" to "Jojia," which is in line with the English-based name.

The change is being made in response to a request from the Georgian government, a government source said.

Georgian President Giorgi Margvelashvili, who is scheduled to visit Japan later this month, is expected to renew the request when he meets Prime Minister Shinzo Abe. The government will subsequently begin reviewing the necessary procedure to revise a relevant law.

**„საქართველო" — აი, ასეთია ქვეყნის სახელწოდება ქართულ ენაზე, მაგრამ გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან დაახლოებით 170 თავიანთ ინფორმაციებსა და მასალებში ქვეყნის ინგლისურენოვან სახელწოდებას — „Georgia"-ს იყენებს და მხოლოდ ჩინეთი, იაპონია და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უწოდებენ ამ სახელმწიფოს „Gurujia"-ს.**

საქართველოს მთავრობამ 2008 წელს, რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების კვალობაზე, განსაკუთრებით კი მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, ყველა ქვეყანას სთხოვა, რომ ქვეყნის დასახელებისას ინგლისურენოვანი სახელწოდება გამოეყენებინათ.

**იაპონიის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში ქვეყნის სახელწოდების გამოყენების პრინციპი ეფუძნება კანონს საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების სახელწოდებების, ადგილმდებარეობისა და დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელთა ხელფასების შესახებ. როგორც ჩანს, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ კანონში კორექტივებს მომავალ წელს შეიტანს და ქვეყნის პარლამენტს „დასამტკიცებლად" მორიგ სესიაზე წარუდგენს.**

ჯი-ეიჩ-ენი

# ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შესაძლოა, რუსეთს წევრობა შეუჩეროს

**ამის შესახებ PACE-ს თავმჯდომარე ან ბრასერმა „ამერიკის ხმის" რუსულ სამსახურთან ინტერვიუს დროს განაცხადა.**

მისივე თქმით, იანვარში ახალი სესიის დროს ყველა ქვეყნის დელეგაციის უფლებამოსილებები ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს.

**— მე ვერ განვჭვრეტ მომავალს, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ იანვრამდე ვითარება პოზიტიურისკენ არ შეიცვალა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში არათუ აღდგება, არამედ პირიქით, გამოითქმება აზრი, რომ ასამბლეას არ სურს რუსეთის დელეგაციასთან მუშაობა,** — განაცხადა ან ბროსერმა.

აპრილში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის დელეგაციას წლის ბოლომდე ხმის მიცემის უფლება შეუჩერა.

## დედამიწის ზურგზე



**უზბეკეთში ზომებს ღებულობენ: ადგილობრივმა ექსტრემისტებმა განაცხადეს, რომ უერთდებიან „ისლამურ სახელმწიფოს"**

**ადრე რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკები დსთ-ს ქვეყნებიდან შეიძლება რეგიონალური უშიშროების სერიოზული საფრთხე გახდეს. იმის შესახებ, რომ „ისლამური სახელმწიფო" მიიწევს რუსეთის ფედერაციის საზღვრებისაკენ, საუბრობენ ყირგიზეთშიც.**

**ნატოს ახალი გენერალური მდივანი: ჩვენ შეგვიძლია, გავშალოთ ჯარები იქ, სადაც მოვისურვებთ**



**იდეა შეეხება სწრაფი რეაგირების ძალების განლაგებას, რისი აუცილებლობის შესახებაც ნატოში აქტიურად დაიწყეს საუბარი უკრაინის კრიზისის ფონზე. სხვათა შორის, ალიანსის ახალი ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ „ნატოს ისედაც ძლიერი არმია ჰყავს". „როიტერი": ეს შეიძლება ნიშნავდეს იმ შეთანხმებების დარღვევას, რომლებიც დაიდო ცივი ომის შემდეგ.**

**მგლები პარიზთან: პირველად მრავალი წლის განმავლობაში მტაცებლები აღმოაჩინეს საფრანგეთის დედაქალაქიდან სულ რაღაც 60 კილომეტრში**



**მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ტყეები დედაქალაქის გარეუბნებში შეიძლება იყოს იდეალური ადგილი მგლებისათვის — აქ ძალიან ბევრია ღორები, ირმები და უფრო პატარა ცხოველები. საფრანგეთში მგლების პოპულაცია გაანადგურეს გასული საუკუნის ჯერ კიდევ 20-იან წლებში, მაგრამ 10 წლის წინათ მტაცებლებმა კვლავ დაიწყეს ქვეყნის ტერიტორიის ათვისება, როდესაც მოახდინეს იტალიიდან მიგრირება.**

**იაპონიაზე თავდატეხილი ტაიფუნ „ფანფონის" პირველი მსხვერპლი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის თანამშრომელი, კიდევ ორი ადამიანი დაიკარგა უგზო-უკვლოდ**

**სულ უამინდობის გამო, უკანასკნელი მონაცემებით, დაზარალდა სულ ცოტა 10 კაცი. იაპონიის ეროვნული მეტეოროლოგიური სამმართველო აფრთხილებს მოსახლეობას ზვავებისა და წყალდიდობის შესახებ მთიან რაიონებში, მოუწოდებს ქვეყნის სამხრეთის მცხოვრებლებს არ გამოვიდნენ ქუჩაში უკიდურესი აუცილებლობის გარეშე. ზოგიერთ ადგილას ტალღების სიმაღლე 10-12 მეტრია.**



## ასე იშვა ფილმი

**2 ოქტომბერს ცნობილი კინორეჟისორი და მწერალი გოდერძი ჩოხელი 60 წლის გახდებოდა. გუდამაყარში, სოფელ ჩოხში გოდერძი ჩოხელი ქართველმა მწერლებმა, პოეტებმა, კინორეჟისორებმა და მეგობრებმა გაიხსენეს.**

**გოდერძი ჩოხელს გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „ბინდისფერი სოფელი“, „თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მიწავ!“ „სულეთის კიდობანი“, „არჩევნები სასაფლაოზე“. ლექსების კრებული „ბედი მდევარი“. მოთხრობების კრებული „შავი არაგვი“, რომელიც არაერთ ენაზეა ნათარგმნი. რომანები — „მგელი“ და „მღვდლის ცოდვა“.**

**მისი პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“ 1980 წელს გამოიცა და წლის საუკეთესო პირველი წიგნის პრემიაც მიენიჭა.**

**ჩოხელის ფილმებმა სხვადასხვა კინოფესტივალზე არაერთი პრიზი მიიღეს.**

**გვბეჭდავთ მწერლის ერთ მოგონებას.**

# „აღდგომა“

**გოდერძი ჩოხელი**



გოდერძი ჩოხელი ფილმის გადაღებისას

ასეთი სასაფლაოები ჩემ სოფელშიც იყო, დიდ ქვებს ადებდნენ, ზედ გამოქანდაკებული არის ქალი, კაცი. ქალი — საკერავი მანქანით ხელში, კაცი — გუთნით. ჩემ სოფელში იმდენი არ იყო ასეთი საფლავები, როგორც მეზობელ სოფელში — დუმაცხოში.

ფოლკლორული ექსპედიცია იყო ჩამოსული. ზურაბ კიკნაძეც იყო იმ ექსპედიციაში და სხვები — ყველა არც მახსოვს. იმათ გავყევი. მოგვიწია ამ სასაფლაოების მხარეს გავლა. გაზაფხული იყო, თოვლი დნებოდა. საოცარი სანახავი იყო სასაფლაო. ზოგს, მაგალითად, საფლავის ნახატს თავი ჰქონდა ამოყოფილი, ზოგს ხარ-გუთანი უჩანდა, ზოგს — რა, ზოგს — რა. ისეთი ტილო იყო, ფიროსმანისა გეგონებოდა.

მაშინ პირველად გამიჩნდა სურვილი, — ამათზე დოკუმენტურ კინოს გადავიღებ-მეთქი. მერე გადაღება რომ დავიწყე, წავიკითხე წარწერები. ზოგი შენდობას ითხოვდა, ზოგი რას... ამ ეპიტაფიების გამო დამებადა იდეა, — რა მოხდება, რო გაველაპარაკო-მეთქი. გავესაუბრო სიყვარულზე, სიძულვილზე... მაგ კუთხით დავიწყე გადაღება. თანდათან ეშხში შევედი. მომინდა, რო განმეზოგადებინა, ეროვნულ ხასიათში გადამეყვანა, სვეტიცხოველში შევსულიყავი. მერე მომინდა, რო დიდგორის ბრძოლა გადამეღო. მერე მომინდა, რო მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, ვინც კი გვყოლია ბრძოლის ველზე დაცემული, ისინი ამოსულიყვნენ, იმათთან მელაპარაკა.

„აღდგომას“ გამოუჩნდა კრიტიკოსი — „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი. მანამდე ჩემზე დადებითი რაღაცები ჰქონდა დაწერილი. და... როგორც ჩანს, იფიქრა, ასიამოვნებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ამაზრზენი კრიტიკა დაწერა... ომარი მაშვიდებდა, მაგას ყურადღება არ მიაქციო, გამოჩნდებიან ისინიც, ვინც შენ კინოს გაიგებენო.

„აღდგომას“ ვიღებდით ჩოხში, გუდამაყარში — ლუთხუბში, მთიულეთის ხეობაში. ერთი ეკლესია დგას იმ სოფელში. ზოგიერთი საფლავი ქართლის ხეობებშიც გადავიღე, ფასანაურშიც.

მთიულეთში შავოსანი ქალი მოვიდა. თურმე ჩემი თანაკლასელის საფლავს ვიღებდი, მე — არ ვიცოდი, იმისი დედა იყო. პურმარილი მოიტანა.

მიცვალებულები იქაურების გახმოვანებულია.

ვიღაცაზე ხომ უნდა დამემთავრებინა ფილმი... გმირები არ გვყავდნენ, რომლებსაც ილიას მერე ვახსენებდი... მოწოდებისათვის იყო ჩემი ყვირილი: სადა ხართ, არაგველებო! ვიხმობდი, საიქიოდან უნდა გამომეხმო, — გამოდით, კიდე ვიბრძოლოთ-მეთქი. ეს ფილმი ანტიკომუნისტური ხო იყო, ანტირუსულიც იყო თავისი შინაარსით...

პირველად ჩემმა პედაგოგმა ომარ გვასალიამ ნახა. ისე მოეწონა, გადაირია. წავიდა და ნუგზარ ფოფხაძეს აჩვენა: — ნახე, რა ფილმი გადავიღეთო. ნუგზარმა, — ვის გარეშეც ვერ გავუშვებთ, იმათ უნდა ვაჩვენოთო — ცეკაში წავიღოთო. ხო შეეძლო, სულ დაემალა ეს ფილმი. გაფრთხილებოდა თავის თავს.

ნუგზარს ჰქონდა ასეთი ვაჟკაცობა, რო „აღდგომა“ გამოეჩინა (მაგის დროს აჩვენებდნენ საზღვარგარეთულ ფილმებს, სეფიაშვილი გამოჰყავდათ და ათწუთიანი გინება ჰქონდა — ფილმს ლანძღავდა. სამაგიეროდ, მერე ხომ გადიოდა ის „ასაკრძალი“ ფილმი ეკრანზე!).

„აღდგომა“ რომ გადავიღე, 1981 წელი იყო და ეგეთი ფილმების გაშვებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. შეიძლება, დავეჭირე კიდევაც.

შევარდნაძის დაბადების დღე ყოფილა იმ დღეს. ნუგზარ ფოფხაძეს უთქვამს, საჩუქარი მოგიმზადე და უნდა გაჩვენოო.

დამიბარა. წავედით მე და ნუგზარ ფოფხაძე. წავიღეთ „აღდგომა“. ცეკას კინოდარბაზში სხედან შევარდნაძე და სხვა ცეკას მდივნები.

— მოდი, მოდი, ჩემთან დაჯექიო, — დამიძახა...

მივედი და გვერდით დამისვა შევარდნაძემ.

დაიწყო „აღდგომა“: მე ვარ გოდერძი ჩოხელი, ქართველი, მინდა, დაგიბრუნოთ სიცოცხლე... მინდა, ცოტა ხნით საიქიოში წაგიყვანოთ, — ისმის ეკრანიდან...

ჩუმად არიან. გატვრენილია ყველა. როგორია, ცეკას მდივნები საიქიოში წაიყვანო!

ამ დროს მე ვფიქრობ: თუ არ დამიჭირეს, საერთოდ ამიკრძალავენ კინოს გადაღებას-მეთქი, რა უნდოდა ამ ფოფხაძეს, რას აიჩემა ფილმის ჩვენება-მეთქი. უცებ შეკითხვა რო დავიწყე მკვდართან და იმანაც რო მიპასუხა, შევარდნაძემ გაიცინა. გაიცინა შევარდნაძემო და გაიცინეს ცეკას მდივნებმა. მთელი ფილმი ასე იყო. აუტყდებოდა შევარდნაძეს სიცილი. განსაკუთრებით იცინა, მკვდარს რო ეუბნება, „ქარი ხო არსაიდან გიქშუტუნებსო“. ისინიც იცინიან. მერე ხო ფილმი ასე მთავრდება: ღირსეული გმირები ამოდიან და როგორც მართლა იყო, იქაც ილიაზე შეწყდა ყველაფერი... დღემდე ვთვლი, რომ ილიაზე შეწყდა დიდი ბრძოლა.

შევარდნაძემ უთხრა ცეკას მდივნებს: — აბა, ახლა თქვენ გაარჩიეთ ეს კინოო. სოლიკო ხაბეიშვილი ადგა და თქვა, — თქვენი არ ვიცი, მაგრამ გოდერძი ჩოხელმა კომუნისტი კაცი დამარწმუნა, რო საიქიო არსებობსო.

ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. მენთეშაშვილი ადგა: ქალაქის საბჭოს მდივანი თუ თავმჯდომარე იყო. ის გადამეკიდა, — ილიაზე რატო მთავრდება ეს ფილმიო. დღეს ადამიანი აღარა გვყავსო, რომლის ხსენებაც შეიძლებაო? აქცენტი აქვს აღებული, რო ედუარდზე დავამთავრო. წავა-წამოვა, ვიღაცა რაღაცას იტყვის, ეს ისევ იმას მეუბნება. ბოლოს, შევარდნაძე მიუტრიალდა და უთხრა, — შენ, მგონი, ამ ფილმში ილია ჭავჭავაძე გიშლის ნერვებსო. გაჩუმდა ის კაცი. გაისუსა.

„აღდგომა“ იმავე საღამოს ტელევიზიაში გაუშვეს.

ატყდა ერთი ამბავი. ბაზარში რო შევიდოდი, ისე, უფასოდ მატანდნენ ყველაფერს. შენა, შვილო, საიქიო ალაპარაკე და ფულს როგორ გამოგართმევო, — მეუბნებოდნენ. არც ერთი ცეკას მდივანი ასე არ მოიქცეოდა. თავს გამოიდებდა, როგორ დავესაჯე.



ნუგზარ ფოფხაძე და გოდერძი ჩოხელი

## ბიუჯეტი

# გაიზრდება გაისად პენსია?

**გაიზრდება თუ არა გაისად პენსია, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია „ადამიანზე ორინეტირებული ბიუჯეტისა“, რომელიც მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა. ბიუჯეტის პროექტის საპენსიო უზრუნველყოფის ნაწილში 1,360 მილიარდი ლარი გაიწერა.**

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, გაისად მთავრობამ პენსიების დასაფინანსებლად 34 მილიონი ლარით მეტი უნდა გადაიხადოს. ამ მოცულობით ხარჯის გაზრდის მიზანი თითქოს პენსიის მომატება უნდა იყოს, თუმცა, ამ ინფორმაციას თავად ხელისუფლების წარმომადგენლები არ ადასტურებენ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი პენსიონერებს ვერაფერ ჰპირდებიან.

ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, 2015 წლის საბიუჯეტო ვარიანტში პენსიების ზრდა დაგეგმილი არ არის. მინისტრმა ამით უპასუხა შეკითხვას, დაბალი ეკონომიკური ზრდის პირობებში განიხილება თუ არა პენსიების ზრდა და როგორია ამასთან დაკავშირებით მისი ხედვა.

**„ჯერ ერთი, დაბალი ეკონომიკური ზრდა არ არის. 5%-ზე მეტი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამასაც დაბალს არ დავარქმევდი. მეორე — პენსიების ზრდა არსებულ საბიუჯეტო ვარიანტში არ არის, თუმცა, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ 5%-ზე მეტი იქნება ეკონომიკის ზრდა. ამიტომ კონსერვატიულად დავგეგმეთ ბიუჯეტი და ნამატი, სავარაუდოდ, მიიმართება პენსიების გაზრდაზეც“,** — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

თითქმის იგივეს იმეორებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილიც: **„საპენსიო რეფორმაზე ძალიან სერიოზულად მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო და მთავრობა. უახლოეს კვირებში, ალბათ, მეტი ინფორმაცია გვექნება, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდამება საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც მთელი 10 წლის განმავლობაში არც კი განხორციელებულა. ჩვენ გვიწევს დღეს იმ ნაბიჯის გადადგმა, რაც უნდა ყოფილიყო 2005 წლიდან მოყოლებული“,** — განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრს იზიარებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე, რომელიც საპენსიო დანამატებზე ამახვილებს ყურადღებს და დასძენს, რომ ასეთი რამ მომავალი წლისთვის შეუძლებელია:

**„მომავალი წლისთვის პენსიების გაზრდის არანაირი შანსი არ არსებობს იმიტომ, რომ ამისთვის არანაირი რესურსი არ აქვს სახელმწიფოს“,** — აცხადებს გიორხელიძე.

მისი თქმით, მთავარი ამოცანა, რომელიც ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს, ჯერ კიდევ შესასრულებელია. **„ამაზე დიდი ამოცანა დღეს ქვეყანაში არ არსებობს, რადგან თუ აქ შედეგები არ იქნება, ვერც ერთი დაპირება ვერ შესრულდება. ამიტომ ეს საკითხი რჩება სამთავრობო პოლიტიკის აქილევსის ქუსლად“,** — აღნიშნა დემურ გიორხელიძემ.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტში კი აღნიშნულია, რომ საპენსიო სისტემის არსებითი რეფორმა, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას.

რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ კერძო საპენსიო ინსტიტუტები. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება მხოლოდ სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ოდენობაზე.

გარდა ამისა, არასრული სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის მქონე მოქალაქეებს დაენიშნებათ (ან შეევსებათ) სოციალური პენსია. რაც შეეხება იმ პენსიონერებს, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე იმყოფებიან ან მიაღწევენ საპენსიო ასაკს, სახელმწიფოსგან საარსებო მინიმუმზე არანაკლებ მიიღებენ სოციალურ პენსიას.

**ბექა დანელია**

ვითარება



# დაპირისპირება გრძელდება

**ჭიდაობის ფედერაციაში დაპირისპირება გრძელდება. გუშინ ფალავანთა კლუბში ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი მივიდა, მაგრამ არცერთი მოჭიდავე ვარჯიშზე არ გამოცხადებულა. მიზეზი ისაა, რომ მოჭიდავეები კვლავ ფედერაციის პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის გადადგომას ითხოვენ.**

ისინი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე ვარჯიშის განახლებას არ აპირებენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი ნუგზარ სხირელი აღნიშნავს, რომ საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი.

„სანამ სიტუაცია არ დალაგდება და თვითონ ნაკრების წევრები არ განაცხადებენ თანხმობას, გამორიცხულია მე მათთან ვიმუშავო ან რომელიმე სპორტსმენი დაპირისპირებული იყოს ჩემს მიმართ და მე დარბაზში შევიდე. თუმცა, მგონია, რომ მე არ ვიმსახურებ ამ წლების განმავლობაში ნაკრების წევრთაგან ჩემს მოწინააღმდეგედ ყოფნას“ — აღნიშნა სხირელმა.

**დავით ხუციშვილი (მოჭიდავე):** „ჩვენ მოვითხოვთ, რომ გადადგეს ლუკა კურტანიძე და იმის გამო არ ვვარჯიშობთ, რადგან დარბაზში არ არის ერთსულოვნება და საავარჯიშო პირობები. ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს ნუგზარ სხირელთან, რომელთან ერთადაც ახალგაზრდულ ნაკრებში მშვენიერი შედეგი გვქონდა“.

მას შემდეგ, რაც ლუკა კურტანიძემ ნაკრების ახალი მწვრთნელები დანიშნა, სპორტსმენები ვარჯიშზე უარს ამბობენ. მათი განცხადებით, ისინი აპირებენ შეხვდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ლევან ყიფიანს.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ევროპის თასის გათამაშება გაიმართება, რომელშიც საქართველომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუმცა, რა შემადგენლობით, ჯერჯერობით უცნობია.

**კობა კობახიძე**

ჭიდაობა

# თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“



**თავისუფალი სტილით მოჭიდავე ხუთი ქართველი მონაწილეობდა იაკუტსკში გამართულ დმიტრი კორკინის VII საერთაშორისო მემორიალში. მათგან ერთმა ოქროს, მეორემ კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ორივე ჯილდო მძიმეწონოსნებს ერგოთ:** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გიორგი მეშვილდიშვილი, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ირანელ პოია რახმანს აჯობა 9:6, არადა, თავიდან 0:3-ს აგებდა. მესამე ადგილი თორნიკე ხიდეშელმა დაიკავა. ბრინჯაოსთვის პაექრობას იგი თურქ ქოზენ იალქინთან 0:4-ს აგებდა, მაგრამ დროულად შეძლო ძალების მობილიზება და გაიმარჯვა კიდევ — 5:4. საგულისხმოა, რომ ქართველი ფალავნები ზედიზედ მესამე წელიწადია კორკინის მემორიალში მონაწილეობენ და მძიმე წონაში „ოქრო“ დაბევებული აქვთ: შარშანწინ გიორგი საკანდელიძე იყო პირველი, შარშან — დავით მოძმანაშვილი, წლეულს კი ტრადიცია ონელმა მეშვილდიშვილმა არ დაარღვია.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ზედიზედ ორი ტიტული



**ბათუმის საჭადრაკო კლუბი „ნონა“ დიდ სარბიელზე პირველ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ მისი სადებიუტო შედეგები ნებისმიერ დაღვინებულ კლუბს შეშურდება: მხოლოდ ქართველი დიდოსტატებით დაკომპლექტებულმა „ნონამ“ სექტემბერში ევროპის ქალთა საკლუბო ჩემპიონატში ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.** გასულ კვირას ურეკში 20-წლიანი შესვენების შემდეგ გამართულ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატშიც (საპრიზო ფონდი 30.000 ლარი) გაიმარჯვა და 15.000 ლარიც დაიმსახურა. ბოლო ტურში „ნონა“ (გაიოზ ნიგალიძე, დავით ჯოჯუა, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, კაპიტანი მარიკა ჯაფარიძე) ასპარეზობის რეიტინგფავორიტ „თბილისს“ დაუზავდა — 2,5:2,5. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს „რუსთავი“ და „კახეთი“, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. ქვემოქართლელებს 10.000, ხოლო კახელებს 5.000 ლარი ერგოთ.

**საბოლოოდ ჩემპიონატში ადგილები ასე განაწილდა:** „ნონა“ — 12 (საერთო მონაგარი — 25), „რუსთავი“ — 10 (22), „კახეთი“ — 10 (22), „ქუთაისი“ — 9 (20,5), „თბილისი“ — 8 (23), „გურია“ — 4 (11,5), „გორი“ — 2 (8), „სამეგრელო“ — 1 (8).

**დაფების მიხედვით საუკეთესოები იყვნენ:** I დაფაზე — ბაადურ ჯობავა (5,5 ქულა 7 პარტიიდან), II დაფაზე — მიხეილ მჭედლიშვილი და დავით ჯოჯუა (6-6), III დაფაზე — ნინო ბაციაშვილი (5), ქალთა დაფაზე — ლელა ჯავახიშვილი (5,5) და ახალგაზრდებში — ირაკლი კელაპტრიშვილი (5,5).

გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ შესაბამისი ხარისხის მედლებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# მანუჩარ მარკოიშვილი:
# „პაოს“ დაცვის ხარჯზე ვძლიეთ



**ქართველმა კალათბურთელმა მანუჩარ მარკოიშვილმა მოსკოვის ცსკა-ს მიერ ათენის „პანათინაიკოსის“ განადგურების შესახებ ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ალექსანდრ გომელსკის სახელობის ტურნირის ფინალში რუსულმა გრანდმა ბერძნებს 75:44 სძლია, „მანუ“ კი მოედანზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ და საბოლოოდ ოთხთა შეჯიბრის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს.**

„გომელსკის ტურნირის მოგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც გვინდოდ, სეზონს კარგ ხასიათზე შევხვედროდით. სამწუხაროდ, წინა მატჩში დაშვებული შეცდომები გავიმეორეთ და მეტოქეს ჩამორჩენის აღმოფხვრის საშუალება მივეცით. „ლიეტუვოს რიტასთან“ თამაშის შემდეგ არაერთხელ ვთქვით, რომ მეტოქეს გონს მოსვლის შანსი არ უნდა ჰქონოდა, თუმცა, აღნიშნულს ამჯერადაც ვერ გადავურჩით. საბოლოოდ „პანათინაიკოსის“ ძლევაში დაცვაში საიმედო თამაში დაგვეხმარა. როდესაც მხოლოდ 44 ქულას უშვებ, ეს ძალიან კარგია“.

შეგახსენებთ, რომ ცსკა-ში გადასვლის შემდეგ მარკოიშვილის ოფიციალური დებიუტი 8 ოქტომბერს შედგება. ამ დღეს მოსკოვური კლუბი ვთბ-ლიგის ეგიდით ფინურ „ნილან ბიზონსს“ დაუხვდება და ეს მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# „ვერცხლს“ დასჯერდა

**თბილისელმა სოფიო შაფათავამ წარმატებით იასპარეზა მონტერეის (მექსიკა) ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში, ოღონდ წყვილთა შორის. არგენტინელ ფლორენცია მოლინეროსთან შეამხანაგებული მე-2 ნომრად იყო განთესილი.** სტარტზე მათ ნადია პოდოროსკას (არგენტინა) და რენატა ზარაზუას (მექსიკა) აჯობეს (6:1, 6:2), შემდეგ ხიმენა ჰერმოსოს (მექსიკა) და ლაურა პოუს-ტიოს (ესპანეთი) ტანდემი ჩამოიშორეს გზიდან (6:3, 6:4), ნახევარფინალში გაბრიელა სე (ბრაზილია) და პემრა ოზგენი (თურქეთი) დაჯაბნეს (6:3, 6:4), გადამწყვეტი პაექრობა კი ნასტია კოლარსა (სლოვენია) და ჩანთალ სკამლოვასთან (სლოვაკეთი) დათმეს 3:6, 6:2, 5:10 და მე-2 ადგილს დასჯერდნენ. ქართველი ჩოგბურთელი ამერიკაში გაემგზავრა და როკ ჰილის 25.000-იან ტურნირში თამაში არჩია, სადაც, სავარაუდოდ, მე-2 ნომრად იქნება განთესილი.



ყაზახურ ჩიმკენტში სოფიო ქვაცაბაია 10.000-იან ტურნირში ჩაებმება. ამავე ქალაქში ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მოსინჯავენ ძალებს ალექსანდრე მეტრეველი და გიორგი ცივაძე.

**გივი გაგუა**



ფეხბურთი

# რონალდუმ რეკორდი გაიმეორა

**მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ „ბილბაოსთან“ პრიმერადივიზიონის მეხუთე ტურის მოგებულ მატჩში (5:0) რიგით 22-ე ჰეთ თრიქი შეასრულა და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ ფეხბურთელებს ალფრედო დი სტეფანოს და ტელმო ზარას გაუთანაბრდა.**

ესპანეთის ჩემპიონატში პორტუგალიელი ჰეთ თრიქების რეკორდს დიდი ალბათობით გააუმჯობესებს კიდეც. რონალდუს პრიმერას მიმდინარე სეზონის 7 მატჩში 13 გატანილი გოლი დაუგროვდა, ხოლო ყველა ტურნირზე მის ანგარიშზე უკვე 17 გოლია.

**გიორგი შოთაძე**

სანთელი

# შოთა მაისურაძე

კიდევ ერთმა ჩინებულმა ქართველმა პროფესიონალმა დატოვა ეს სამზეო — გარდაიცვალა **შოთა მაისურაძე**, რომელიც არაერთი ათეული წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა ქვეყანასა და ხალხს, უდავოდ თვალსაჩინოა ამ ადამიანის წვლილი იმ დიდ, მეტად მნიშვნელოვან საქმეში, რასაც დღეს საქართველოს ოცდაოთხათასიანი ელექტრომომარაგება ჰქვია.



შოთა მაისურაძე დაიბადა 6.10.1944 წ. ონის რაიონში, 1967 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაციით. 1962-63 წლებში მუშაობდა ზაჰესში ელ. ზეინკლად. 1967-70 წ.წ. ქ. გროზნოს №3 თეცის ელექტროსაამქროს ცვლის უფროსის დუბლიორი, ცვლის უფროსი, მორიგე ინჟინერი, 1970-78 წლებში „საქმთავარენერგოს" ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის მორიგე დისპეტჩერი, სამსახურის უფროსის მოადგილეა. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1987-83 წლებში მშენებარე ენგურჰესის კასკადის დირექციის მთავარი ინჟინერი, ენგურჰესის კასკადის დირექტორი, 1983-85 წ.წ. „საქმთავარენერგოს ენერგოზედამხედველობის" მთავარი ინჟინერია, ხოლო 1985-95 წ. წ. „საქმთავარენერგოს" სამრეწველო-სარემონტო საწარმოს მთავარი ინჟინერი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სგ „საქენერგორემონტის" მთავარი ინჟინერი, გენერალური დირექტორი, 1995-96 წლებში დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარის მოადგილე, 1996-97 წ.წ. სკ „საქენერგოგენერაციის" გენერალური დირექტორის მოადგილე. 1997 წ. დაინიშნა სს „საქრუსენერგოს" გენერალურ დირექტორად. 2005 წლიდან სს „საქრუსენერგოს" გენ. დირექტორის პირველი მოადგილეა. არის მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორი. 2005 წ. მისი ხელმძღვანელობით ზვავსაშიშროების თავიდან აცილების მიზნით 500 კვ. ეგხ „კავკასიონზე" კოდორის ხეობაში ზღვის დონიდან 1700 მეტრ სიმაღლეზე განხორციელდა ბაგირებზე ხაზის დაკიდება ანძების გამოუყენებლად, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. 1979 წ. დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, 1997 წ. ენგურჰესის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლენისა და სამუშაოთა წარმატებით შესრულებისთვის „ღირსების ორდენით". 2005 წ. მეორედ დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით" 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის.

მიუხედავად ასეთი აშკარა დამსახურებისა, ბოლო ათწლეულის მანძილზე გამეფებული უსამართლობა პირადად შეეხო ამ თავისი საქმისთვის თავდადებულ ადამიანსაც, რამაც საბოლოოდ შეურყია ჯანმრთელობა და მოუსწრაფა სიცოცხლე.

მაგრამ სიკეთე და კაიკაცობა ნამდვილად არ იკარგება, დავიწყება არ უწერია არც შოთა მაისურაძის მიერ ქვეყნისთვის გაწეულ სიკეთეს და იმ კაიკაცობას, რითაც იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აგრერიგად გამოირჩეოდა.

**გია არაბიძე, რევაზ არველაძე, ვაჟა მეტრეველი, ემზარ ჩაჩხიანი, ზურაბ გოზალიშვილი, შალვა ნაჭყებია, სერგეი კობცევი, ვახტანგ ქინქლაძე, ბორის კოჟორიძე, ზვიად ვაშაკიძე, გურამ ჯავახაძე, რევო მშვიდობაძე, ნათია თურნავა, ელიზბარ ერისთავი, გია თავაძე, ლევან მებონია, ალფეზ შელია, შოთა სანაძე, გია ხუბუა, ვახტანგ საბახტარიშვილი, თამაზი კოხრეიძე, ნუგზარ უფლისაშვილი, მანანა ხიზანიშვილი, მაყვალა ქანდარია, ომარ ხელაძე.**

**მეუღლე მარიამი (ლილი), ძმა ოთარი, რძალი თამარი, და მერი, შვილიშვილები მარიამი (მაკა), ალექსანდრე; შვილიშვილები თინათინი, იანა, გიორგი, შოთა, ძმისშვილი მარიამი, დისშვილები ნინო, ნანა, სანათესავო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**შოთა მაისურაძე**

**პანაშვიდი 7, 8, X, 17 სთ. მის. ს. ჩიქოვანის 14, გამოსვენება 9 X, 14 სთ. წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან, ს. ჩიქოვანის 77ა.**

გამოსათხოვარი

# კახაბერ ანთაძე



ბედის დაცინვაა, შენი ახლობლები და მეგობრები გამოსათხოვარს რომ გიწერთ... გუშინწინ აკი ჩვენს შორის ტრიალებდი, — ლაღი, პირმცინარი, გულთბილი, ყველას მოყვარული და ყველასთვის მოამაგე... მწუხარება ადუნებს ენას და ყინავს გრძნობებს — გვიჭირს, შენი მოულოდნელი გარდაცვლებით გამოწვეული მწუხარების გამოთქმა.

აღარასოდეს შეგვხვდებით... მოხდენილი, მუდამ სიკეთითა და სითბოთი სავსეს, ყოველთვის ვიგრძნობთ შენი უდროო დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს და ეს სიცარიელე ყოველთვის ტკივილიანი იქნება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან სწავლა გააგრძელე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, იქვე დაამთავრე აკადემია, დაიცავი დისერტაცია და მოგანიჭეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. საზღვარგარეთ 14 წლის ცხოვრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდი და სადაც კი გიმუშავია — აგროპრომში, საგარეო საქმეთა სამინისტროში თუ სასწავლო დაწესებულებებში, ყველგან სითბოს, სიკეთეს თესდი, კაცთმოყვარეობა იყო შენი არსებობის მთავარი ნიშანი და ესეც იყო მიზეზი ამდენი მეგობარ-ამხანაგი რომ გეხვია გარს.

სამსახურებრივ საქმიანობაში, კოლეგებთან ურთიერთობაში ტაქტი და სიფაქიზე არასოდეს გკლებია. სანიმუშო იყავი როგორც ახალგაზრდა ოჯახის თავკაცი და 2 პატარა შვილის მამა — როგორ შეჰხაროდი, როგორ გეამაყებოდა! და შენ ახლობლებს ყველაზე მეტად ის გვტკივა, რომ შენ მათ დაქალებას ვერ მოესწარი, არც სიჭარმაგეში ფეხის შედგმა დაგცალდა...

შენი მგრძნობიარე გული და ემოციური ბუნება ყველაზე დიდი ბარომეტრივით რეაგირებდა სიხარულზე და წყენაზე. ამიტომაც გიღალატა ჯანმრთელობამ, რომელსაც ბუნების კანონების თანახმად, ჯერაც დიდხანს უნდა ემუშავა.

ულონობის ცრემლებით გეთხოვებით კახა, და გვრჩება ნათელი სევდა იმის გამო, რაც იცხოვრე კაცურად და ლამაზად იცხოვრე... ის შენი, ორი ანგელოზი გოგონა ლამაზი ცრემლივით დაეკიდება შენს სამუდამო ხსოვნას და არ დავიწყებაში გააგრძელებენ შენ სახელს.

**ახლობლები, მეგობრები.**

**დედა მაია ჩიქოვანი, მამა ზურაბ ანთაძე, და სოფიკო, ძმა ზურაბი ოჯახებით შვილები მარი, ანანო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა**

**კახაბერ ანთაძე**

**მისამართი: თბილისი ქავთარაძის ქ. 25, კორპ. 3. ბ. 56. გამოსვენება სამების ეკლესიიდან 7 X, 14 სთ. (ჭავჭავაძის გამზირი).**

**უახლოესი მეგობრები გიორგი, თემურ, ვიტალი ხაზარაძეები, გივი აბზიანიძე, ანრი მაჭარაშვილი, გურამ გუნავა, გაიოზ ნოზაძე, თამაზ იმედაძე, დიმიტრი კოტეტიშვილი, გურამ ფულარია ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ზურაბ ანთაძეს საყვარელი შვილის, უკეთილშობილესი პიროვნების**

**კახაბერ ანთაძის**

**გარდაცვალების გამო.**

# რაჭაში „რთველი — 2014" დაიწყო

**რთველის დაწყებასთან დაკავშირებით, რაჭაში, ქალაქ ამბროლაურში, 2014 წლის რთველის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად გაიხსნა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორის პრესსამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული შტაბი უზრუნველყოფს რთველის ორგანიზებულად ჩატარებას და პროცესების მართვას, რათა რაჭველმა მევენახეებმა მარტივად და უპრობლემოდ მოახდინონ ყურძნის რეალიზაცია.

„ამ ეტაპისთვის რაჭაში ყურძნის ჩამბარებელი 10 ღვინის კომპანიაა დარეგისტრირებული და მოთხოვნა ყურძენზე საკმაოდ მაღალია. ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის ანუ „ხვანჭკარის ღვინის მასალის" ღირებულებამ 2013 წელს 8 ლარი შეადგინა და სავარაუდოდ ეს თანხა არც 2014 წელს მოიკლებს.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად, ჩართულია რთველის მიმდინარეობის პროცესში, რათა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება და ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო მაქსიმალურად იქნას დაცული.



⊙ კრიმინალი

## ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

**როგორც „ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, დაკავებული არიან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები ჭალესა და ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულებში, როინ მანია და გოდერძი კვარაცხელია.**

გამოძიებით დადგენილია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჭალესა და ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლებმა რომან მანიამ და გოდერძი კვარაცხელიამ, მოქალაქეს ყალბი ცნობების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით გამოართვეს 850 ლარი.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9 წლამდე ვადით.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

⊙ წერილი რედაქციას

## მაქვს წინადადება!

**ბარათაშვილზე** თავისუფლების მოედნიდან ჩასასვლელ მონაკვეთს, მიწისქვეშ არსებულ ნაგებობებს გადავხურავდი სატრანსპორტო ხიდური გზით ესტაკადის მაგიერ და დამთვალიერებლებს გვერდითი კიბეებით ლამაზად მოვუწყობდი მისასვლელს ისე, რომ არავითარი შეფერხება არ ყოფილიყო.

**თენგიზ თომაძე**

⊙ ტრაგედია

## ერთი წლის წინ გარდაცვლილი ნინო გვასალიას ძმამ თავი მოიკლა

**ტრაგედია** შაბათს მოხდა. როგორც ოჯახის ახლობლებმა განაცხადეს, მამაკაცი, რომელიც შაბათს მეტროს სადგურ „300 არაგველის" ლიანდაგში ჩახტა, სწორედ 27 წლის დათო გვასალია იყო. მას მატარებელმა გადაუარა და გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ახლობლების თქმით, მეორე შვილის თვითმკვლელობის შემდეგ დედამ, ლალი ცინცაძემაც თვითმკვლელობა სცადა და კლოფელინის დიდი დოზა დალია. ის ინგოროყვას კლინიკაშია მოთავსებული. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. ოთხი შვილის დედას ლალი გვასალიას ორი ვაჟი დარჩა.

გვასალიების ოჯახში ტრაგედია პირველად ერთი წლის წინ მოხდა, როდესაც 22 წლის ნინო გვასალიამ თავი მოიკლა. ის შარშან, 17 ოქტომბერს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. სამართალდამცველები და მეგობრები მას თითქმის ერთი თვის განმავლობაში ეძებდნენ. სამართალდამცველებმა ნინო გვასალია 10 ნოემბერს მუხათწყაროს ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

## ჩვენი კარაბადინი

# დიეტა სისხლის ჯგუფის მიხედვით არაეფექტიანია

**სისხლის ჯგუფის მიხედვით კვების რეჟიმი არაეფექტურია გახდომისათვის და ქრონიკულ დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, ამტკიცებენ კანადელი მეცნიერები ტორონტოდან.**

დიეტა სისხლის ჯგუფის მიხედვით გახდა მეტად პოპულარული ამერიკელი ნატუროპატის პიტერ დ' ადამოს წიგნის „სისხლის ოთხი ჯგუფი — ოთხი მიდგომა ჯანმრთელობისადმი" გამოსვლის შემდეგ, რომელიც ბესტსელერად იქცა. მაგრამ კანადელმა მეცნიერებმა, რომლებმაც გამოიკვლიეს ის 1445 ადამიანი სისხლის სხვადასხვა ჯგუფით, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში იცავდნენ ამ დიეტას, ეჭვქვეშ დააყენეს მისი ქმედითუნარიანობა. ექსპერიმენტის მონაწილეები აწონეს, აგრეთვე აიღეს მათგან სისხლის ანალიზი ქოლესტერინზე, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებზე დ ინსულინზე. ეს ნივთიერებანი მოწმობენ ენდოკრინული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მდგომარეობის შესახებ.

გამოირკვა, რომ დიეტა სისხლის II ჯგუფისათვის ხელს უწყობს გახდომას, გვეხმარება დავწიოთ წნევა, შევამციროთ ქოლესტერინი, აგრეთვე ნორმაში მოვიყვანოთ ინსულინის დონე. ამ მაჩვენებლების მიღწევის საშუალებას იძლეოდა აგრეთვე დიეტა IV ჯგუფისათვის, მაგრამ გახდომაში ის არ გვეხმარებოდა. დიეტა I ჯგუფისათვის ხელს უწყობდა დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების დონის დაწევას. ხოლო დიეტით კვება III ჯგუფისთვის არანაირ გავლენას არ ახდენდა განხილულ პარამეტრებზე. ამავე დროს სრულიად არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც აღმოჩნდა, შეესაბამება თუ არა დიეტა გამოსაცდელთა სისხლის ჯგუფს. მეცნიერთა აზრით, წონის დაკლების მიღწევა მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დიეტა ემყარებოდა ნახშირწყლებისა და ცხოველური ცხიმების მინიმალური ოდენობის მოხმარებას.



# მსუქანი – გამხდარი

**ჩვენ ვხდებით სამუშაო დღეებში და ვსუქდებით უქმე დღეებში, დაადგინა მარკეტინგისა და დიეტოლოგიის პროფესორმა ვანსინკმა კორნელის უნივერსიტეტიდან (აშშ).**

25-დან 62 წლამდე ასაკის მოხალისეთა ჯგუფზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მეცნიერმა გამოარკვია, რომ ბევრი ადამიანის წონას აქვს მერყეობის ზუსტი სქემები. ვანსინკმა ხალხი სამ ქვეჯგუფად დაყო: ვინც ხდებოდა (მასის შემცირება 3 პროცენტით), ვინც იმატებდა წონაში (-1 პროცენტი წონაზე) და ჯგუფი უცვლელი წონით ( — პროცენტიდან 1 პროცენტამდე). ექსპერიმენტმა გამხდრობისკენ მიდრეკილების ჯგუფში აჩვენა წონის მერყეობის ზუსტი სქემები. გამხდრობისაკენ მიდრეკილების 59 პროცენტს წონა ეზრდებოდა უქმე დღეებში, მიდიოდა იგი მაქსიმუმამდე კვირას და ორშაბათს. ამის შემდეგ იწყებოდა მისი სწრაფი დაქვეითება, რაც შემთხვევების 60 პროცენტში აღწევდა თავის მინიმუმს პარასკევისა და შაბათისათვის.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი მერყეობა სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან უქმე დღეებში ადამიანებს აქვთ მეტი თავისუფალი დრო და ისინი ჭამენ უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივად. უფრო მეტიც, ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამგვარი შემსუბუქება, რასაც გამხდრები თავიანთ თავს უკეთებენ, ეხმარება კიდეც ადამიანებს უფრო დიდხანს იყვნენ დიეტაზე. ამ დროს ისინი მიგვანიშნებენ, რომ მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რამდენი მოიმატე უქმე დღეებში, არამედ რამდენი დაიკელი კვირის სამუშაო დღეებში.

# ო, გაიცინეთ, ხუმარებო!



**სიცილი — ესაა სოციალური სიგნალი და უბრალოდ ემოციის გამოხატვა, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს. შემთხვევითი როდია, რომ სხვა ხალხთან ერთად ადამიანი იცინის 30-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მარტოდ ყოფნის დროს. სიცილის სოციალურ როლს ადასტურებს ისიც, რომ ჩვილი იწყებს სიცილს ოთხი თვის ასაკიდან, როდესაც იუმორის არანაირ გრძნობაზე არაა საუბარი.**

ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად იცინიან. თანაც ისინი სიცილს ანიჭებენ ერთგვარად ვოკალიზებულ ხასიათს, მამაკაცები კი უფრო ხშირად ხვიხვინებენ და როხროხებენ. მაგრამ მამაკაცები უფრო ხშირად ხუმრობენ, ქალები კი იშვიათად ამბობენ რაიმე სასაცილოს. სამაგიეროდ, ისინი ეძებენ მამაკაცებს, რომლებიც მათ გააცინებთ. მამაკაცები ასეთ მოთხოვნებს არ უყენებენ თავიანთ პოტენციურ პარტნიორებს — მათ უფრო მეტად მოსწონთ ისინი, ვინც მათ ხუმრობაზე იცინის. ასეთი ქალები მათ უფრო სექსუალურები ეჩვენებათ — შეიძლება, იმიტომ, რომ სიცილი იძლევა სიგნალს აღიარებისა და დინტერესებულობის შესახებ.

თუმცა, არიან ადამიანები, რომლებსაც სხვისი სიცილი აშინებს — პრინციპულად ესენი გელოტოფობები არიან. მათ გულის რიტმიც კი უნელდებათ სხვისი სიცილის მოსმენის დროს. ფობია მოულოდნელად არ ვითარდება. ის შეიძლება გაჩნდეს დაცინვის საპასუხოდ: ბევრი გელოტოფობი აღნიშნავდა, რომ მათ აღიზიანებდნენ სკოლაში.

გელოტოფობები არიან მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს მდგომარეობა ყველგან სხვადასხვაგვარად ვლინდება. მაგალითად, ტაილანდში ხალხი უცნობების ხუმრობას ღებულობენ თავიანთ თავზე, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. იაპონელები კი ყველაზე მეტად განიცდიან, რომ თავიანთ თავს დასცინიან.

# რამდენად სერიოზულია ეს?

***ამერიკელმა** მედიკოსებმა დაამუშავეს სპეცილური შკალა, რომელიც საშუალებას იძლევა, შევაფასოთ თავის ტკივილის ინტენსიურობა და საფრთხის ხარისხი.*

**1. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გამოტოვეთ სამუშაო ან სწავლის დრო (სრული ან არასრული დღე) თავის ტკივილის გამო?**

**2. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თქვენი შრომისუნარიანობა შემცირდა სანახევროდ ანდა უფრო მეტადაც თავის ტკივილის გამო (იმ დღეების გარდა, რომლებიც თქვენ პირველ შემთხვევაში აღნიშნეთ)?**

**3. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში რამდენი დღეა, რომ არ მუშაობთ საოჯახო საქმეებზე თავის ტკივილის გამო?**

**4. აღნიშნეთ, რამდენი დღეა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, რომ თქვენი საოჯახო საქმის პროდუქტიულობა შემცირდა სანახევროდ და მეტადაც თავის ტკივილის გამო. აქ ნუ ჩართავთ იმ დღეებს, რომლებიც მესამე საკითხში მიუთითეთ.**

## შეაჯამეთ იმ დღეების ოდენობა, რომლებიც გაგიმწარდათ თავის ტკივილის გამო და გაეცნით დასკვნებს

**0-5 დღე — პირველი ჯგუფი. ტკივილის ნაკლები ინტენსიურობა, ყოველდღიური აქტივობის მინიმალური დაქვეითება.**

**6-10 დღე — მეორე ჯგუფი. ზომიერი ტკივილი, ყოველდღიური აქტივობის უმნიშვნელო შეზღუდვა.**

**11-20 დღე — მესამე ჯგუფი. ძლიერი ტკივილი. ყოველდღიური აქტივობის გამოხატული შეზღუდვა.**

**21 და მეტი დღე — მეოთხე ჯგუფი. ძლიერი ტკივილი. ყოველდღიური აქტივობის მნიშვნელოვანი დაქვეითება.**

**თუ მოხვდით მესამე ან მეოთხე ჯგუფში, ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას. დაგეხმარებათ მხოლოდ ექიმი-ნევროლოგი ან სისხლძარღვოვანი დარღვევების სპეციალისტი. მას უნდა მიმართოთ დაუყოვნებლივ.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**პეტკა და ვასკა მთვრალნი ბრუნდებიან თავიანთ სოფელში.**

**— პეტკა, ნახე, შენი სახლის ფანჯარაში ქურდი აპირებს გადაძრომას.**

**— ხმა არ ამოიღო, გადაძვრეს, ჩემს ცოლს მე ვეგონები და ერთს ისეთს მოსცხებს ყბაში, რომ დაავიწყებს, რისთვისაც აპირებდა გადაძრომას...**

* * *

**— მითხარი, თუ ძმა ხარ, რატომ უნდა წამოვდგეთ ფეხზე განაჩენის გამოცხადებისას? — ეკითხება ბრალდებული სვანი განსასჯელ მეგრელს.**

**— იმიტომ, რომ ამის მერე დიდხანს მოგიწევს ჯდომა, ჯიმა.**

* * *

**— მიხო, რომელი დროა ყველაზე ხელსაყრელი ვაშლის დასაკრეფად?**

**— როდესაც ძაღლი დაბმულია, მასწ.**

* * *

**— ძვირფასო, რით აგდის ასეთი კარგი სურნელება?**

**— იმ სუნამოთი, შენ რომ გუშინ მაჩუქე!**

**— მე შენთვის სუნამო არ მიჩუქნია!**

**— მაჩუქე, მაჩუქე! ნახე შენი საფულე!**



**მძღოლი საავდმყოფოს საწოლში მოეგება გონს. ყურადღებით აკვირდება თავის მეზობელს და გაკვირვებული ეკითხება:**

**— მომისმინეთ, ჩვენ მგონი სადღაც უკვე შევხვდით ერთმანეთს!**

**— რა თქმა უნდა, — ეთანხმება იგი — ამიტომაც ვართ აქ ორივენი.**

* * *

**— მას მერე, რაც ჩემს ქმარს გავშორდი, იგი ყოველდღე თვალცრემლიანი მირეკავს! — ეუბნება დაშა დაქალს.**

**— აჰა, პატიებას გთხოვს, არა, ის ნაგავი?!**

**— არა, მადლობას მიხდის...**

* * *

**— ექიმო, უკვე ოთხმოცს გადავაბიჯე, მაგრამ მაინც გოგოებისკენ გამირბის თვალი.**

**— მერე ამას რა სჯობს, ეს ხომ შესანიშნავია!**

**— ჰო, მაგრამ დამავიწყდა, რისთვის გამირბის.**

* * *

**ვაჟკაცობა, მოვალეობა, ღირსება, სიმამაცე, გამბედაობა, კეთილშობილება...**

**მართალია — ყველაფერი ეს ალკოჰოლური თრობის ნიშნებია...**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24